

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო კახიძე

**ფიტონიმებით მოტივირებული იდიომების კვლევა**

**ფრანგულ და ქართულ ენებში**

სპეციალობა - ლინგვისტიკა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

სადისერტაციო ნაშრომის

**ა ნ ო ტ ა ც ი ა**

ბათუმი-2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**ნატალია სურგულაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

**შემფასებლები:**

**ქეთევან ჯაში**

სევილიის (ესპანეთის) უნივერსიტეტის პროფესორი-მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ქეთევან გაბუნია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

**ირინე გომბეთელიანი**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

**უცხოელი შემფასებელი:**

**ჟან-ფილიპ ზუოგზო**

პარიზის დიდროს უნივერსიტეტი (პარიზი), ფილოლოგიის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება **2020 წლის 13 ივლისს, ორშაბათს, 13:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

**მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, პირველი კორპუსი.**

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)).

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი,**

**ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი**

**ნ. ფარტენაძე**

## შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში, ამა თუ იმ ენის ცოდნა გარდა მისი ამოუწურავი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული კონსტრუქციების ფლობისა, უნებურად მისი კულტურის გაცნობასა და გათავისებასაც მოიცავს. უცხოური ენა სავსეა ისეთი კულტურული მომენტების აღმნიშვნელი რეალიებით, რომელთა გაგება და თარგმნა მშობლიურ ენაზე მათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია, განსაკუთრებით კი მეორე ენაში შესატყვისის არქონის შემთხვევაში. ასეთი „უცხო ხილის“ განმარტებით, მთარგმნელი მნიშვნელოვნად ეხმარება ადრესატს სხვა კულტურის ფენომენის შემეცნებასა და გაგებაში. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების უკიდეგანო სამყარო.

თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობს ისაუბროს იდიომებით, რითაც ერთი მხრივ, ძველის გახსენებით ხელს უწყობს ისტორიის უკვდავყოფას, მეორე მხრივ კი, ახლის დამატებით-ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. ჟამთა სვლის პარალელურად, ენით შემონახული, თაობიდან თაობაზე გადაცემული, კულტურული თავისებურებებით გაჟღენთილი და უნიკალურობით გამორჩეული ხატოვანი თქმები, კონკრეტული ენის ფასდაუდებელი განძია, მისი სიცოცხლისუნარიანობის საწინდარია, რადგანაც სანამ ჩვენ-ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, მათ ვიყენებთ ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ენა და ერის კულტურა არსებობას განაგრძობს, მისი „გული“ რითმულად ფეთქავს. მაშასადამე, ენა ცოცხლობს.

გასული საუკუნის მიჯნაზე გაბატონებულმა ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ, წინა პლანზე წამოსწია და ყურადღების ცენტრში განათავსა ადამიანი, მის ირგვლივ არსებული საგნობრივი და ვირტუალური სამყარო, მისი დამოკიდებულება ამ სამყაროს მიმართ. ენა კულტურის ერთგვარ კოდად გადაიქცა. „როგორც კ. ლევი-სტროსი აღნიშნავს, ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც. უფრო მეტიც, ენა-კულტურის არსებობის სპეციფიკური გზაა, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორი“ (Маслова, 2001: 22). ამის ნათელი გამოხატულება კულტურულ ძეგლებში-მითებში, ლეგენდებში, იგავ-არაკებში, ტრადიციებში, რიტუალებში,

ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომებში შემონახული ამა თუ იმ ერის განვითარების ეტაპები, ეთნოსის სიბრძნე, სიმდიდრე და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაა. სწორედ, ენის საშუალებით გადაეცემა თაობიდან თაობას მათში თავმოყრილი, ჩამალული ეროვნული ინდივიდუალურობა და ერის მენტალიტეტით გამსჭვალული ღრმა ნააზრევი. ყოველივე ზემოთქმული კი, *ინფორმაციის ფასდაუდებელ განძსა და კვლევის ამოუწურავ მასალას წარმოადგენს.*

„ფიტონიმია, როგორც ერთ-ერთი ფრაგმენტი სამყაროს ენობრივი სურათისა, მოიცავს ეთნოკულტურულ ინფორმაციას მცენარეულ რეალიათა ხალხური გაგების შესახებ“ (Фаткуллина,... 2016: 93) და არა მხოლოდ ხალხურისა. „ფიტონიმები უდიდესი კონოტაციური მუხტის მატარებლებია და ფლობენ საკმაოდ დიდ მეტაფორულ პოტენციალს“ (Фатюшина, 2013: 421). ისინი „[...] როგორც ჩვეულებრივ-კოგნიტური ნომინაციის პროდუქტი, ასახვენ ერის მენტალიტეტის თავისებურებებს მცენარეთა სამყაროსთან მიმართებაში“ (Петракова, 2015: 152).

„ფიტომორფიზმების გამოყენების ეროვნული სპეციფიკა განპირობებულია როგორც ეროვნულ-კულტურული ტრადიციებით, ასევე ჩვენი პლანეტის მცენარეთა ნაირსახეობითა და გეოგრაფიული მდებარეობის ნაირგვარობით“ (Кхонг, 2018: 81). გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს კონკრეტული ტერიტორიისთვის დამახასიათებელ ფიტონიმთა კონკრეტულ სახეობებს. ამიტომ რთულდება და ხშირად ვერც ხერხდება ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირება. *სწორედ ეს* განაპირობებს ფიტონიმური იდიომების შესწავლის აუცილებლობის საკითხს. „ფიტონიმები, როგორც სემანტიკური ლექსიკის ერთ-ერთი სახეობა, მოიცავს რა მცენარეთა გარკვეულ მახასიათებლებს, ასახავს ადამიანთა სულიერ სამყაროს. მათი ლინგვოკულტურულ ასპექტში შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ერის მრავალგვარი ენობრივი მოვლენების შესახებ, ასევე შესაძლებელს ხდის თვალყური მივადევნოთ, იმას თუ როგორ იჭრება არაენობრივი სინამდვილე ენაში. ფიტონიმთა ტექსტში ფუნქციონირების განსაკუთრებულობა, წარმოადგენს სამყაროს ეროვნულ სურათს, რომელიც ისახება ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში სიტყვების მნიშვნელობათა და ასოციაციათა გავლით განსაკუთრებულ კულტურულ-

სპეციფიკურ მნიშვნელობებში“ (Лш, 2015: 14). **სწორედ ეს გახლავთ ნაშრომის აქტუალურობა.**

**ნაშრომის მიზანია** შევისწავლოთ ორი განსხვავებული კულტურის ფრაზეოფიტონიმები, მოვახდინოთ მათი კონცეპტუალური კლასიფიკაცია და ვნახოთ რამდენად ერთგვაროვანი თუ არაერთგვაროვანია მათი შინაარსი და ლექსიკური შემადგენლობა.

შესაბამისად ჩვენ მიერ დასახული **ამოცანებია:**

- გამოვყოთ ფრაზეოლოგია, როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა, მისი შესწავლის ობიექტი და დარგი;
- მიმოვიხილოთ ფრაზეოლოგიის განვითარების ეტაპები და პროცესები ფრანგულ, რუსულ და ქართულ ლინგვისტიკაში; ასევე ფრაზეოლოგიზმების ფუნქციური დანიშნულებანი ენაში და მათი კლასიფიკაციები და ხაზგასმით აღვნიშნოთ ფრაზეოლოგიის ეროვნული ხასიათი;
- გადმოვცეთ ფიტონიმების რაობა და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია;
- ფრანგულ და ქართულ ენებში სხვადასხვა წყაროდან მოვიძიოთ ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები მათი ეტიმოლოგიითურთ;
- მოვახდინოთ ორივე ენაში ერთგვაროვანი შინაარსის მქონე, ასევე არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომების კონცეპტუალური კლასიფიკაცია, გამოვყოთ ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი და განსხვავებული ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში;

დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, **ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდებია:** შეპირისპირებითი, დაკვირვების, აღწერის, ანალიზის, ლინგვოკულტუროლოგიური, თვისობრივი და პრაგმატიკული მეთოდები.

ნაშრომის **თეორიული დირებულებაა** ის, რომ მასში შეჯერებულია ქართულ, ფრანგულ და რუსულ ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიის დარგში მომუშავე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მოსაზრებები იმავე დარგის, მისი შესასწავლი ობიექტის, ზოგადად ფრაზეოლოგიზმების, მისი სახეების შესახებ, ფიტონიმების რაობის, კლასიფიკაციის, ორ ენას შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების თეორიული

საკითხები. აღნიშნული კვლევა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ლინგვოკულტუროლოგიის სფეროში, სპეცურსებსა და საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისას. ხოლო თავისი განმარტებებითა და უმეტეს შემთხვევაში ეტიმოლოგიით წარმოდგენილი ფრანგული და ქართული ემპირიული მასალა-ფიტონიმური იდიომები, ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებსა თუ მოსწავლეებს მზა სახით მიეწოდებათ, რაც მათ გაუადვილებს იდიომებთან მუშაობასა და დიდ დახმარებასაც გაუწევს. სწორედ ეს გახლავთ ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება**.

დარგის შესახებ თავმოყრილი საკმაოდ მდიდარი თეორიული ინფორმაცია, წარმოდგენილი ლინგვისტიკაში ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი ასპექტის-ფიტონიმის რაობა და კლასიფიკაცია, ლექსიკონებიდან და ინტერნეტ წყაროებიდან მოპოვებული ემპირიული მასალა და მათი სტატისტიკური შეფასება, ნაშრომის **მეცნიერული სიახლეა**.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავსა და თერთმეტ ქვეთავს, დასკვნას, გამოყენებულ ლიტერატურასა და ინტერნეტ წყაროებს, შემოკლებათა განმარტებასა და დანართებს. ნაშრომი 151 ნაბეჭდი გვერდია. ფრანგული და ქართული ფიტონიმური თქმებისგან შემდგარი დანართებითურთ კი 214 ნაბეჭდი გვერდია (დანართები 63 ნაბეჭდი გვერდია).

**პირველ თავში** შეჯერებულია ფრანგ, რუს და ქართველ ენათმეცნიერთა კვლევები ფრაზეოლოგიის დარგის, ობიექტისა და შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

**მეორე თავი** ეთმობა ფიტონიმების რაობისა და მათი კლასიფიკაციების ანალიზს, ასევე წარმოდგენილია მცენარეთა კომპონენტებით შედგენილი ქართული და ფრანგული იდიომების ეტიმოლოგიური კვლევა.

**მესამე თავში** თავმოყრილია მდიდარი ემპირიული მასალა ორივე ენის ფიტონიმური იდიომების ფონდიდან, მოცემულია მათი კონცეპტუალური კლასიფიკაცია და დაჯგუფებები შინაარსობრივი და ლექსიკური ნიშნის მიხედვით.

**ემპირიულ მასალად** ინტერნეტ წყაროებიდან და სხვადასხვა ლექსიკონებიდან აღებულია ჯამურად ათას ორას ორმოცდაშვიდი (1,247) ფიტონიმების შემცველი

იდიომი: სამას ორმოცდარვა (348) ქართული და რვაას ოთხმოცდაცხრამეტი (899) ფრანგული გამოთქმა.

## ნაშრომის მოკლე შინაარსი

**თავი I. ფრაზეოლოგიის განვითარების კვლევა - ხუთი ქვეთავისგან შედგება:**

**1.1. ფრაზეოლოგია როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა, მისი შესწავლის ობიექტი და დარგი -** ქვეთავში განმარტებულია ფრაზეოლოგიის რაობა-„მყარ შესიტყვებათა ერთობლიობას ფრაზეოლოგია (ბერძ. *Phrasis* „გამონათქვამი“, *lógos* „სიტყვა“, „მოდვრება“) ეწოდება. ამავე ტერმინოლოგიით აღინიშნება ის დარგი, რომელიც ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობას შეისწავლის“ (გამყრელიძე, ... 2008: 375). ხაზგასმულია ტერმინის განსაზღვრის აუცილებლობის საკითხი, რადგანაც ფრაზეოლოგიასთან მიმართებაში ტერმინთა განსაკუთრებულ სიმრავლეს ვაწყდებით. ფრაზეოლოგიზმის „[...] აღმნიშვნელად დღეს ერთმანეთის გვერდით იხმარება სხვადასხვა ტერმინი: ფრაზეოლოგიური ერთეული, ასევე ფრაზეოლოგიური-გამოთქმა, საქცევი, კლიშე, შტამპი, შენაზარდი (შეხორცება), მთლიანობა, შესიტყვება (ფართო და ვიწრო გაგებით); გარდა ამისა, მყარი გამოთქმა, დაუშლელი შესიტყვება, ლექსიკური ერთეული, სტერეოტიპული გამოთქმა; იდიომი-მეტაფორული, სახოვანი, გაქვავებული და სხვა“ (თაყაიშვილი, 1961: 13). „[...] მყარ შესიტყვებათა სიმრავლე იყოფა შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად: იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სამეტყველო შტამპები, ფრაზეოსქემები და ე.წ. ფრთიანი გამოთქმები (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.)“ (გამყრელიძე, ... 2008: 376). ასევე განხილულია, ფრაზეოლოგიის შესწავლის დარგიც, რადგანაც სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით მას ხან ლიტერატურათმცოდნეობის, ხან სტილისტიკის, ხან ლექსიკოლოგიისა და ხანაც ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტად მიიჩნევენ.

**1.2. ფრაზეოლოგიის განვითარების ეტაპები.** ფრაზეოლოგია, როგორც ცალკეული ლინგვისტური დისციპლინა XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და დაკავშირებულია ფრანგი წარმოშობის შვეიცარიელი ლინგვისტის შარლ ბალის (Charles Bally)

სახელთან. შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერების ისტორიაში ის პირველი იყო, ვინც ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფე) გაიაზრა როგორც ცალკეული მოვლენა, რითაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფრაზეოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას. მანვე მეცნიერულად დაასაბუთა მყარი გამონათქვამების სპეციალური შესწავლის აუცილებლობა და თავის ნაშრომებში წარმოადგინა საინტერესო დებულებები ფრაზეოლოგიის ნიშან-თვისებებზე, მისი კვლევის მეთოდზე და გამოყო ფრაზეოლოგიზმების ორი ჯგუფი. ამ თავში განვიხილავთ ბალისეულ კონცეფციებს და წარმოვადგენთ მის მიერ გამოტანილი დასკვნების ანალიზს.

ამავე დარგის განვითარებასა და ფრაზეოლოგიის თეორიული საფუძვლების შემუშავებისთვის აქვია წარმოდგენილი შემდეგ მკვლევართა შეხედულებათა და თეორიულ ნაშრომთა ანალიზი: *ფრანგულ ენათმეცნიერებაში* - მ. რა, ჟ. მარუზო, პ. გირო, ა. რეი, ს. შანტრო, ი. გონზალეზ რეი, ა. პამიეს ბერტრანი და ა.შ. *რუსულ ენათმეცნიერებაში*- ვ. ვ. ვინოგრადოვი, მ. მ. ბაბკინა, ს. გ. გავრინი, ვ. პ. ჟუკოვი, ბ. ა. ლარინი, ვ. მ. მოკიენკო, მ. ტ. ტაგიევა, ვ. ნ. თელია, ნ. მ. შანსკი, იუ. დ. აპრესიანი, ვ. გ. გაკი, ა. გ. ნაზარიანი, კ. დ. პრიხოდკო, ი. ი. რეცკერი, ი. ნ. ტიმესკოვა, ა. ვ. კუნინი, ე. ვ. პოლივანოვი, ნ. ნ. ამოსოვა და ა. შ.

**1.3. ფრაზეოლოგიის კვლევა ქართულ ენათმეცნიერებაში.** საქართველოში, XX საუკუნის შუა პერიოდიდან, კერძოდ 1941 წელს ჩნდება ფრაზეოლოგიისადმი, განსაკუთრებით იდიომატიკის საკითხებისადმი, მიძღვნილი კვლევები. ამ ქვეთავში წარმოგიდგენთ ქართულ ენათმეცნიერებაში ამ დარგში მოღვაწე მკვლევართა თ. სახოკია, ა. ნეიმანი, ქ. კანდელაკი, ა. ონიანი, ა. ფრანგიშვილი, გ. შალამბერიძე, ნ. გამრეკელი, ე. მაგლობლიშვილი, ლ. ლეჟავა, ალ. კობახიძე, თ. შავიშვილი, ა. თაყაიშვილი, ი. ლობჯანიძე, ქ. ჯაში, ნ. სურგულაძე, ც. ახვლედიანი, ც. ბიბილეიშვილი, ლ. დარაშვილი, რ. გაჩავა, ნ. სტამბოლიშვილი. ი. გომხეთელიანი და ა. შ. ნაშრომების ანალიზსა და მკვლევართა ჩამონათვალს.

**1.4. ფრაზეოლოგიზმების ფუნქციური დანიშნულებანი ენაში და მათი კლასიფიკაციები.** მეცნიერებს ოდითგანვე გააზრებული ჰქონდათ ფრაზეოლოგიზმების განსაკუთრებული მნიშვნელობა. „ჯერ კიდევ XVI საუკუნეში წერდა ა. ესტიენი ფრაზეოლოგიზმის შესაძლებლობაზე-კომპაქტური ფორმით რთული და ვრცელი



მოცულობის აზრის გადმოცემის თაობაზე, პ.ლ. ბოკლერი, XVIII საუკუნის სამტომეული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ავტორი, აღნიშნავდა ფე-ს, როგორც ენობრივ საურთიერთობო საშუალებას“ (Назарян, 1987: 30). ფრაზეოლოგიის ფუნქციური დანიშნულების გასაგებად, აქვე წარმოვადგენთ საინტერესო ლინგვისტურ ფაქტებს თუ რატომ ჩნდებიან ეს ერთეულები ენაში და რა განასხვავებს მათ ლექსიკური სისტემისგან, რა შემთხვევაში „კვდება“ სიტყვა და რა შემთხვევაში-ფრაზეოლოგიზმი. წარმოდგენილია ა.გ. ნაზარიანის ფე-ებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები (ხუთი ნიშან-თვისება), ვ.ვ. ვინოგრადოვის ფე-ების კლასიფიკაცია (სამ ჯგუფს მოიცავს), რომელიც ძირითადად სემანტიკურ პრინციპს ეყრდნობა, ა.კუნინი კომუნიკაციური ფუნქციიდან გამომდინარე, სტრუქტურულ სემანტიკურ პრინციპზე დაყრდნობით გამოყოფს ფრაზეოლოგიზმების ოთხ კლასს, ნ.მ. შანსკი სტრუქტურულ (გრამატიკულ) კლასიფიკაციას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან ეკვივალენტურობის თვალსაზრისით ახდენს და ფრაზეოლოგიზმებს შვიდ ძირითად ნაწილად ყოფს, ა.გ. ნაზარიანი თანამედროვე ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმებს სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპად ყოფს, კომუნიკაციური პლანიდან გამომდინარე, ფუნქციური თვალსაზრისით, ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ორ დიდ ჯგუფს გამოყოფს, ხოლო სემანტიკური კლასიფიკაცია ორ ტიპს მოიცავს, რომლის ყველაზე ობიექტური კრიტერიუმია კომპონენტების აზრობრივი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, ა. თაყაიშვილი კი ფრაზეოლოგიზმების ორ ტიპს გვთავაზობს.

**1.5. ფრაზეოლოგიის ეროვნული ხასიათი.** ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ეროვნული ხასიათი ისტორიამ, საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა როგორც საკუთარმა მშობლიურმა, ასევე სხვა ენებიდან შემოჭრილმა მასალამ განაპირობა. ფრანგი და ქართველი ხალხის უძველეს, ამოუწურავ, უძვირფასეს სულიერი და გონებრივი მოღვაწეობის ნაყოფს სწორედაც რომ ეროვნული სულისკვეთება უდევს საფუძვლად. ის წითელ ზოლად გასდევს მთელ ფრაზეოლოგიურ სისტემას და ფე-თა სტრუქტურულ-გრამატიკულ, ლექსიკურ, სტილისტიკურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ თავისებურებებში გამოიხატება, თუმცა ყველაზე აშკარად მაინც სემანტიკურ ნაწილში წარმოჩნდება. ეს თვითმყოფადობა სხვადასხვა ენაში ფრაზათწარმოქმნის განსხვავებული ფორმების გამოყენებასა და გაგებაში

გამოიხატება, რომლებიც მხოლოდ მოცემული ენისთვისაა დამახასიათებელი და კოდირებულია ახალი იდიომებისთვის გამზადებულ კონკრეტულ „ხატებში“. ფრაზეოლოგია „ახდენს ამა თუ იმ ერის კულტურისა და ფსიქოლოგიის მთელი რთული კომპლექსის, მისი ხატოვანი აზროვნების განუმეორებელი ხერხის კონდენსირებას“ (Ройзензон, 1972: 13 ციტირებულია ნაზარიანის მიერ, 1987: 35). მართლაც, იდიომების ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს ეროვნულ-კულტურული ფონის გავლენა და შედეგად ჩამოყალიბებული ეროვნული მენტალიტეტით გამსჭვალული ფრაზეოლოგიზმების ხასიათი.

**თავი II. ფიტონიმებით შედგენილი იდიომების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში** - მოიცავს სამ ქვეთავს:

**2.1. ფიტონიმების რაობა და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია.** ფიტონიმები ლინგვისტიკაში კვლევის ახალი სფეროა. მართალია ამჟამად ნაკლებად შესწავლილია, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისინი ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნობოტანიკის, ეთნოლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის ობიექტი გახდა, შედეგად საკმაო რაოდენობის ნაყოფიერი ნაშრომებიც დაიწერა. მცენარეთა სამყაროსთან ადამიანი საკმაოდ მჭიდრო კავშირში იყო და არის: მათ საკვებად, სამკურნალოდ, საყოფაცხოვრებო და ესთეტიკური დანიშნულებისამებრ იყენებს. „ფიტომორფიზმი ასახავს სამყაროს აღქმის თავისებურებებს ეროვნული კულტურისა და ენობრივი პრიზმის ჭრილში. ეროვნული თავისებურება შესაძლებელია გამოვლინდეს ტიპურ ასოციაციებში, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სახესთან, ანუ ის შეიძლება გამოვლინდეს ხატოვანი ფორმით ეროვნულ სპეციფიკაში“ (Сетаров, 2005: 94). ფიტომორფიზმების ეროვნულ სპეციფიკას განაპირობებს როგორც ეროვნულ-კულტურული ტრადიციები, ასევე დედამიწის სხვადასხვა ნაწილის მცენარეთა ნაირსახეობა და გეოგრაფიული მდებარეობა. ამიტომაც ყოველთვის ვერ ხერხდება ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირება. *სწორედ ეს განაპირობებს ფიტონიმური იდიომების შესწავლის აუცილებლობის საკითხს.*

სხვადასხვა კრიტერიუმების არჩევის გამო, არ არსებობს ფიტონიმთა ლინგვისტური კლასიფიკაციის ერთგვარი სისტემა. ტ.ვ. ცოი ფიტონიმების დიფერენციაციას ახდენს ლექსიკურ-სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით, თუმცა რა ნიშან-თვისებებს იყენებს საფუძვლად მცენარეებისა და ყვავილების დაყოფისას ბუნდოვანია: მცენარეები: მიხაკი, ნარგიზი და ა.შ.; ხეები: ვაშლის, თელის და ა.შ.; მარცვლეული: ხორბალი, ჭვავი, ქერი; ყვავილები: ენძელა, ია, ვარდი, გვირილა და ა.შ.; ბოსტნეული: ბადრიჯანი, კომბოსტო, ჭარხალი და ა.შ.; ხილი: საზამთრო, ბანანი, ნესვი, ატამი; ბუჩქები: კოწახური (ბარბარისი), მაცვალი; ბალახები: ისლი, მრავალძარღვა და ა.შ. (Циң, 1985: 220-222 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 91-92).

გამოიკვლია რა ფიტონიმების კონოტაციური მნიშვნელობა, ლ.ფ. პუცილევა, გვთავაზობს თემატურ და აქსიოლოგიურ კრიტერიუმებზე ორიენტირებულ კლასიფიკაციას.

თემატური ნიშნით შერჩეულ ფიტონიმებს, მკვლევარი ყოფს ორ ჯგუფად: პირველში წარმოდგენილია ფიტონიმები ანთროპომორფული კონოტაციური მნიშვნელობით, აქვია ლექსემები, რომლებიც უშუალო კავშირში არაა ფიტონიმებთან (როგორებიცაა მცენარეთა და მათი ნაწილების დასახელება) ე. წ. „ხის ნარჩენები“ (ნახერხი, ნაფოტი, ნატეხი). პირველი ჯგუფი იყოფა ა და ბ ქვეჯგუფებად: *ქვეჯგუფი ა* წარმოდგენილია ფიტონიმებით, რომელთა კონოტაციური მნიშვნელობა უკავშირდება *გარეგნულ იერს, ასაკს, ფიზიკურ მდგომარეობას* და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: გარეგანი იერი (ლამაზი/უშნო); გარეგანი იერი ძირითადად პირდაპირ კავშირშია ასაკთან, ფიზიკურ მდგომარეობასთან. *სილამაზეს და ახალგაზრდობას* შემდეგი ფიტონიმები გადმოსცემენ: *კვირტი, ატამი, ვარდი, ია*. ულამაზობა, გარდატეხის ასაკი, ულაზათო აღნაგობა გამოიხატება შემდეგი ფიტომორფიზმებით: *სოკო, ხარისფაშვა და ა.შ.* სახის, თავის, პირის დასახასიათებლად მყარ გამოთქმებში იხმარება შემდეგი ფიტონიმები: *კარტოფილი, ატამი, ვარდი*. სიმაღლე (მაღალი/დაბალი); აღნაგობა (გამხდარი, მსუქანი, მოუხერხებელი, სუსტი და ა.შ.); ფიზიკური მდგომარეობა (ძლიერი, ნორჩი, გაფურჩქნილი/სუსტი, ღონემიხდილი, ავადმყოფი); ფიტონიმები კენკრა და კიტრი გამოხატავენ ახალგაზრდობას, სინორჩეს, ღონემიხდილს-ლიმონი, ბაბუაწვერა; ახაკი (ახალგაზრდობა, სიჭაბუკე/სიბერე).

სიჭაბუკეს გამოხატავს ფიტონიმი კვირტი, ახალგაზრდობას-ვარდი, ატამი, სიბერეს-კუნძი, სოკო და ა.შ.

*ქვეჯგუფი ბ* წარმოდგენილია ფიტონიმებით, რომელთა კონოტაციური მნიშვნელობა უკავშირდება ადამიანის ხასიათსა და ქცევას. ამ ქვეჯგუფში ფიტომორფიზმებს შემდეგი დანიშნულება აქვთ: ადამიანის მორალურ-ეთიკური თვისებები: ნარგიზი (საკუთარ თავზე შეყვარებული), მუხა (ჯიუტი); სოციალურ-კომუნიკაციური თვისებები: ხის ნაჭერი, კუნძი, მუხა (უგრძნობი, გულგრილი); ეკალი, კაქტუსი, ჭინჭარი (გესლიანი, ჯიუტი); ინტელექტუალური თვისებები: მუხა, კორპი, ჯირკი (გონებაჩლუნგი, სულელი, ყეყეჩი), ოროვანდი (უბრალო, მოუსაზრებელი).

მეორე ჯგუფს ლ. ფ. პუცილევა მიაკუთვნებს ანთროპომორფული მნიშვნელობის არმქონე ფიტონიმებს. ხშირად ამ კონოტაციის რეალიზება ხდება მეორად ნომინაციებში, მეტაფორულად ვერბალიზებულ ყველაზე განსხვავებულ აბსტრაქტულ ცნებებში, მოვლენებში, ფენომენებში. ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: მცირედი ნაწილი-მარცვალი; საწყისი, წყარო-ფესვი, თესლი, ყლორტი; შედეგები-ხილის ნაყოფი; რაღაც საჩოთირო-მარწყვი; ახალგაზრდობა-(ნორჩი) ნაყარი.

აქსიოლოგიური ნიშნით შერჩეული ფიტონიმების კონოტაციურ მნიშვნელობას ავტორი ყოფს მელიორაციულ, პეიორაციულ და ნეიტრალურ ნაწილებად.

პირველი ჯგუფის ა ქვეჯგუფში „გარეგნული იერი, ფიზიკური მდგომარეობა, ასაკი“ ჭარბობს მელიორაციული კონოტაციის მქონე ლექსემები (ვარდი, კვირტი) შედარებით მცირეა პეიორაციული კონოტაციის მატარებელი ლექსემებია (სოკო, კომბოსტოს თავი, ნაძვი), ძალიან ცოტაა შეფასებით ნეიტრალური კონოტაციის მქონე ლექსემები, რადგანაც დახასიათება ხდება მხოლოდ ფერის მიხედვით (თეთრი, ღია ფერის თმები). ქვეჯგუფ ბ-ში „ადამიანის ხასიათი და ქცევა“ ყველა კონოტაცია პეიორაციულია (კაქტუსი, ნარგიზი, ხილი, ოროვანდი და ა.შ.).

ავტორის აზრით, მეორე ჯგუფის „არანთროპომორფული კონოტაციური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა“ კლასიფიკაცია აქსიოლოგიური ნიშნით რთულია, რაც დაკავშირებულია იმასთან რომ მეტაფორულად აბსტრაქტული ცნებებისა და მოვლენების შეფასებისას, ადამიანი უფრო შორდება მათ, გამოხატავს რა ნაკლებ

ემოციას. თუმცა ზოგიერთ მეტაფორულ დახასიათებას საკმაოდ ნეიტრალური ხასიათი აქვს (მარცვალი, ყლორტი, ფესვი, თესლი) (Пуцилева 2008 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 95-98).

მეცნიერული თვალსაზრისით ფიტონიმების კიდევ ერთი კლასიფიკაცია სულ ახლახანს გაჩნდა. ო. გ. რუბცოვა თავის დისერტაციაში „სამკურნალო მცენარეთა დასახელებები განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებში“ გვთავაზობს ფარმაკოფიტონიმური ლექსიკის კლასიფიკაციისთვის შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებას: 1. მედიცინაში გამოყენება; 2. საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა-მებრ გამოყენება; 3. მცენარის გემო და სუნნი; 4. მცენარის გარეგნული იერი; 5. მცენარის აღმოცენების ადგილი და პირობები; 6. მცენარის ყვავილობის დრო; 7. ფერის აღმნიშვნელი; 8. ფაუნასთან დაკავშირებული ლექსიკა; 9. ხალხური ცრურწმენა: ივან კუპალას დღესასწაულთან დაკავშირებული ფიტონიმური ლექსიკა; 10. რელიგიური წარმოდგენები; 11. ანთროპონიმები. (Ручцова 2015 ციტირებულია კჰონგის მიერ, 2018: 98-100).

**2.2. ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები ფრანგულ ენაში.** ფიტონიმები, სემანტიკურად მრავალფეროვანი და მრავალმნიშვნელიანი ლექსიკის ერთ-ერთი სახეობაა, რომლებიც მცენარეთა გარკვეულ მახასიათებლებს მოიცავენ. მცენარეთა კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც ხატოვნად ახასიათებენ გარკვეულ საგანსა თუ ადამიანს, მკაფიოდაა ასახული კონკრეტული ენის მატარებლის შინაგანი სულიერი სამყარო. ხატოვანი თქმების შემადგენლობაში ჩაქსოვილი მცენარეთა დასახელებები ცალკეული ადამიანის შინაგან თუ გარეგან თვისებებს გადმოსცემენ. ფიტონიმური იდიომების შესწავლა, შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს სამყაროს ენობრივი სურათის შესაქმნელად საჭირო, მეტად მნიშვნელოვანი ის ენობრივი ელემენტები, რომლებშიც აისახება ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციები, შეფასებები, მისი მიმართება და ურთიერთკავშირი სამყაროსა და სხვა მოვლენებთან. „[...] ფოლკლორიდან დაწყებული თანამედროვე ლიტერატურის ჩათვლით, რთულია იპოვო ისეთი ტექსტები, სადაც არ შეგხვდებათ ფიტონიმები-ხეების, ყვავილების, მცენარეების, კენკროვანთა და მათ შემადგენელთა (ფესვი, ფოთოლი და მისთ.) დასახელებები. [...] ფიტონიმები უდიდესი კონოტაციური

მუხტის მატარებლებია და საკმაოდ დიდ მეტაფორულ პოტენციალს ფლობენ“ (Фатюшина, 2013: 421).

ყოველი ენა სამყაროს აღქმის და მოწყობის მისეულ საშუალებებს, ანუ სამყაროს ენობრივ სურათებს ფლობს. ფიტონიმებით შედგენილი ენობრივი სურათები კი გარკვეული სიმბოლიკისა და ინფორმაციის წარმოჩენის საუკეთესო მიგნებაა. კულტურა მთელი თავისი სიღრმითა და სიდიადით ფრაზეოლოგიზმებშია ჩაქსოვილი. მყარ გამონათქვამებში იმპლიციტურად მოცემული ეროვნული კულტურა, მიმართულია სუბიექტისადმი და ერთგვარი ინდივიდუალური შინაგანი უკიდევანო სამყაროს მენტალური აზროვნების უნიკალური ნაყოფია, რომელიც ენის საშუალებით ან კალმით ფურცელზე რეალიზდება მეტყველებაში. სწორედ ეს უნიკალურობა ანიჭებს მას კულტურულ ხასიათს.


ბევრი არგოტული წარმომავლობის ფრანგული გამონათქვამიც, მცენარეებს, ხილს თუ ბოსტნეულს უკავშირდება. ხან იუმორით, ხანაც კადნიერებით შეზავებული, ლაკონური, „მლაშე“ ფრაზები, საკმაოდ ვრცელ და ღრმა აზრს გადმოსცემენ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფიტონიმებით შედგენილი გამონათქვამების მნიშვნელობა ძირითადად ნეგატიურია. ისინი გამოხატავენ: წარმატება-წარუმატებლობას, გარეგნობას, იერს, მოჩვენებითობას, პირფერობას, დისკუსიას, მიაშიტობას, უნებისყოფობას, გამორჩენას, გასაჭირს, სიმდიდრეს, დაცინვას და ა.შ. გარდა ამისა, ახასიათებენ ადამიანს: სულელი, ბრიყვი, ყეყეჩი, თითქოს ჭკვიანი, შეშლილი, ამაყი, ტრაზახა, ცხვირაბზუებული, წინდახედული, ბედნიერი, ლამაზი, უშნო, გულახდილი და ა.შ.

ყველა ენასა და კულტურაში ფიტონიმური ლექსიკა მჭიდრო კავშირშია ადამიანის ცხოვრებასთან, მეტიც, მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ პიროვნების ცნობიერებაში. ენა საუკუნეების განმავლობაში ცვლილებებს განიცდის, რაც თავისთავად აისახება მის ისტორიაში. იდიომების შემთხვევა ამ მხრივაც განსაკუთრებულია. ზოგჯერ იდიომის მნიშვნელობა სრულიად გაურკვეველი და მიუწვდომელია, თუ მის ეტიმოლოგიას არ გადავხედავთ. ყოველ გამონათქვამს თავისი ისტორია აქვს, რომლის შესწავლაც საშუალებას გვაძლევს მივაკვლიოთ მისი მნიშვნელობის წარმოშობის მიზეზსა და პირველწყაროს, ღრმად ჩავწვდეთ მცენარის

ისტორიულ ღირებულებასა და სიმბოლურ დატვირთვას, რაც მოცემული ენის კულტურასთან კიდევ უფრო გვაახლოვებს და გვიადვილებს მათ გაგებას. ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი მიუხედავად იმისა რომ მატერიალური კულტურის სფეროდანაა აღებული, სრულიად ვერ გვეხმარება მნიშვნელობის გაგებაში. ასეთია მაგალითად კონცეპტები: *une carotte*-სტაფილო, *un pissenlit*-ბაბუაწვერა, *une poire*-მსხალი, *une pomme*-ვაშლი, *un haricot*-ლობიო, *une fraise*-მარწყვი, *une prune*-ქლიავი, *un oignon*-ხახვი, *un épinard*-ისპანახი, *un citron*-ლიმონი, *un chou*-კომბოსტო, *une pêche*-ატამი, *une tomate*-პომიდორი და ა.შ.

ამ ქვეთავში წარმოდგენილია საკმაოდ ბევრი ფრანგული ფიტონიმური იდიომის ეტიმოლოგიური ანალიზი, მათ შორისაა: *Les carottes sont cuites*-(პრდ. სტაფილოები შემწვარია) საქმე დასრულებულია, საქმეს წერტილი დაესვა, მორჩა და გათავდა. გამონათქვამი XVII საუკუნით თარიღდება. იმ დროს და შემდგომშიც დიდი ხნის განმავლობაში ბოსტნეული ღარიბების საკვებ პროდუქტად მოიაზრებოდა. მოგვიანებით გამონათქვამი *ne vivre que de carottes*-ძუნწად ცხოვრებას ნიშნავდა. სტაფილოსთან დაკავშირებული ეს დამაკნინებელი მნიშვნელობა XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა, თუმცა დამატებით გაუცნობიერებლად *être mourant*-მომაკვდავის უარყოფითი კონოტაციაც შეიძინა; *Manger les pissenlits par la racine*-(პრდ. ბაბუაწვერების ძირებით ჭამა) ფრაზეოლოგია აღნიშნავს გარდაცვალებას და დაკრძალვას, ანუ ადამიანის ისეთ მდგომარეობას, რომელსაც ჭამა არ ძალუძს. თუმცა XIX საუკუნეში ამ გამონათქვამის წარმოშობის პერიოდში, სავარაუდოდ, მიწის ქვეშ მყოფს, მაინც ჰქონდა წვდომა გარკვეული მცენარის ფესვებთან. მაგრამ ისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც ბაბუაწვერა? ალბათ იმიტომ, რომ ახლად დაბარულ მიწაზე ყველაზე სწრაფად სწორედ ეს მცენარე აღმოცენდება, სასაფლაოზეც ყაყაჩოებსა და იასამნებზე უფრო ადრე იზრდება; ბაბუაწვერას შესახებ, მეტად საინტერესო ფაქტს წავაწყდით გიორგი კენჭოშვილის ლექსიკონში „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“, სადაც ეს „მწარე ბალახი“ მწუხარების ტრადიციულ ქრისტიანულ სიმბოლოდ (ქრისტეს ვნებების სიმბოლოდ (კათოლიკურ რელიგიაში) მოიხსენიება. ამ ლამაზი მცენარის ხილვა შესაძლებელია შუა საუკუნეების ფლამანდიელი და გერმანელი მხატვრების ფერწერულ ტილოებზე, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას

ასახავენ. ბაბუაწვერა, მაცხოვრის ვნებებთან კავშირში მყოფ სხვა სიუჟეტებშიც ფიგურირებს<sup>1</sup>; *Couper la poire en deux*-(პრდ. მსხლის ორად გაჭრა) რაღაცის თანაბრად, ძმურად გაყოფა; კომპრომისზე წასვლა. მისი მნიშვნელობა მარტივად გასაგებია, მაგრამ რატომ მსხალი და არა სხვა რამ (როგორც მაგალითად ქართულშია თხილი: ერთი თხილის გული, ცხრა ძმამ გაიყო)? გამონათქვამი ლიტერატურაში სავარაუდოდ 1880 წლიდან გვხვდება, კერძოდ, 1882 წ. ფელიქს გალიპოსა (Félix Galipaux) და ლუსიენ კდესონუას (Lucien Cressonnois) მიერ დადგმულ სკეტჩში სათაურით „*La poire en deux*“, სადაც ორი პერსონაჟი-მონოლოგის წარმომთქმელი და მთხრობელი-დაობს ლექსად დაწერილი ტექსტის გადმოცემის საკითხზე. საბოლოოდ, სცენაზე მყოფნი ამ ფრაზეოლოგიზმით ასრულებენ კამათს (იყოფენ ტექსტს: თითოეულმა უნდა წარმოთქვას ოთხი სტროფი), თუმცა ერთმანეთს შორდებიან თავიანთი წილი სიტყვების უთქმელად; *Il a les pieds en bouquet de violettes*-(პრდ. ფეხები იების თაიგულში აქვს) გამონათქვამი გამოიყენება კარგად დასვენებული, განტვირთული, უშფოთველი ადამიანის დასახასიათებლად და წარმოიშვა XX



საუკუნის მე-2 ნახევარში. ლოგიკური შედარებაა: კმაყოფილი ადამიანი ყვავილის თაიგულივით ხარობს. თაიგულში მოთავსებული ტერფებიც განცდილი რელაქსაციისას „იფურჩქნება როგორც ყვავილების კომპოზიცია“. ფრანგულ კულტურაში

ფიტონიმი *ია* XIX საუკუნის საფრანგეთის ისტორიასთან ასოცირდება, კერძოდ, „*ბონაპარტისტულ იებთან*“. სემიოტიკური ნიშანი *ია*, ბონაპარტისტული იმპერიის *ყვავების სიმბოლო* იყო. 1815 წელს ჟან დომინიკ ეტიენ კანიუს (Jean Dominique Étienne Canu) მიერ შექმნილ სურათზე დაკვირვებისას შეიძლება ამოვიცნოთ შენიღბული ნაპოლეონ I, მისი მეუღლე მარი-ლუიზა და მისი ვაჟი ფრანსუა შარლ ჟოზეფი.

**2.3. ფიტონიმებით მოტივირებული იდიომები ქართულ ენაში.** ქართული ენის იდიომთა ბაზაც საკმაო რაოდენობის ფასდაუდებელი ფიტონიმური გამოთქმებით გამოირჩევა. მათი არსებობა ერის მდიდარი გამოცდილების, ცოდნისა და კულტურის ხილული დასტურია. მენტალიტეტითა და ყოფითი ცხოვრებით ქართველი კაცი

<sup>1</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e> (მოძიებულია 04.11.19)



ოდითგანვე მჭიდრო კავშირში იყო და არის მცენარეებთან და ბუნებასთან, რაც ენაში შესაბამისი კონცეპტებითაა გადმოცემული. ამ ქვეთავშიც წარმოგიდგენთ ქართული ფიტონიმური იდიომების ეტიმოლოგიურ ანალიზს, მათ შორისაა: *ტყემალზე ზის-* (პრდ. ტყემლის საჭმელად ტყემლის ხეზეა ასული) უვიცია, ქვეყნიერების არა გაეგება რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია. ტყემალს მოგეხსენებათ სხვა ხილთა შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს, ანუ ხილად არც კი მიიჩნევდნენ. ადამიანი ხილს დანატრებული უნდა ყოფილიყო, რომ ტყემლით მოენდომებინა პირის გასველება. მიიჩნევდნენ რომ გვერდით სხვა ხილის არსებობისას, როცა ადამიანი ხეზე ასული ტყემალს გეახლებოდათ, ასეთ კაცს გონიერებაზე ხელი აღებული უნდა ჰქონოდა; დიახაც რომ ბრიყვად ჩასაგდებაც იქნება და ტყუილად დაიკვებებს-ქვეყნიერებისა რამე გამეგებაო. ასეთს პირდაპირ უბოდიშოდ პირში მიახლიან: შენ, ჩემო ძმაო, ტყემალზედა ზიხარ! ან კიდევ, როცა ვისმე დაუმსახურებლად მიაკრავენ უვიცობის იარლიყს, ის ხატოვნად მიუგებს თავის გამმასხარავებელს: შე კაი კაცო, რას მემართლები, ტყემალზე ხო არა ვზივარო! (სახოკია, 1954: 167); *ლეღვია-*(პრდ. ლეღვის მსგავსი) ზლაზნია, უშნო, დონდლო, გაუბედავი. ლეღვია კახური სიტყვაა. უწოდებენ უშნოს, ზლაზნვით და უგვანოდ მოარულს, საქმის კეთებაში უგერგილოს. ლეღვის მწიფე ნაყოფი სხვა ხილთან შედარებით მეტად რბილია, ხელში ჭერის დროს ყოველგვარ ფორმას ლებულობს იმისდა მიხედვით, თუ რანაირ მდებარეობაშია. თვით ლეღვის ხე, ხეებს შორის უკანასკნელ, უვარგის ხედ ითვლება, არ ვარგა მასალად: თუ ნედლია-მდგნეობა აკლია, ათასგვარად იგრიხება და იმტვრევა. ხოლო თუ ხმელია-შეშადაც უხმარია-ბურბუშელასებრ აპრილდება და სხვა საწვავი შეშის სიმხურვალესაც ვერ მოსთხოვთ. აქედანვეა *მოლეღვა*, რაც ნიშნავს სირბილით, მოდუნებით ლეღვისათვის მიბადვას; *მოლეღვილი კაცი*-ლეღვს დამსგავსებული, ანუ მოდუნებული (სახოკია, 1950: 227); *ყურებზე ხახვი არ დამაჭრა-*(პრდ. დაჭრილი ხახვი არ დამაყარო ყურებზე!) ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე. ჩვენი წინაპრები ამ თქმით გულმოსულ და მათზე კბილებალესილ მოპირდაპირეს მიმართავდნენ, როცა ეს უკანასკნელი ემუქრებოდა და დაჩაგვრას უპირებდა. მაგრამ რა შუაშია ამასთან *ხახვი, ისიც ყურზე დაჭრილი ან სახელდობრ რატომ ყურზე* და არა სხეულის სხვა ნაწილზე ან კიდევ რა დანიშნულებითაა დაჭრილი?! ძველად, ტყვეებს

მონობის ნიშნად, ყურებს სჭრიდნენ, ხოლო წამოსული სისხლის შესაჩერებლად, დეზინფექციისა და ნასრევის შესახორცებლად ჭრილობაზე ხახვს წმინდად დააჭრიდნენ. აღნიშნული გამოთქმა სწორედ ამ გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხახვის ეთეროვანი წვენი ეს თვისება ჭრილობის საწამლებლად საქართველოს მთიელთა შორისაც ცნობილია. ასე რომ თქმა „ყურებზე ხახვის დაჭრა“ გადატანით *მონად გახდომას* ნიშნავს. ხოლო თუ ვინმეს ვეტყვით-*ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო*, ვგულისხმობთ უკაცრავად, არ დამიმორჩილოთ, არ მომერიოთ, ყმა არ გამხადოთო! (სახოკია, 1955: 43-44); *პანტასავით ჩამოსვლა*-(პრდ. პანტის მსგავსად ცვენა) მრავლად, ისე როგორც დარხეული პანტის ხიდან ცვივა ხოლმე. *პანტა*, ანუ *გარეული მსხალი* საშინლად ბევრს ნაყოფს ისხამს. როცა მომწიფებულ ხეს დაარხევენ, თითქოს წვიმა მოდისო, ისე ცვივა ნაყოფი ძირს. პანტასავით ცვენა ხატოვნად რისამე სიმრავლის გამომხატველია (სახოკია, 1954: 84).

**თავი III. კონოტაციით მსგავსი და განსხვავებული იდიომები ფრანგულ და ქართულ ენებში - მოიცავს სამ ქვეთავს:**

**3.1. ერთგვაროვანი შინაარსის მქონე იდიომები ორივე ენაში.** ფიტონიმებით შედგენილი ენობრივი სურათები გარკვეული სიმბოლიკისა და ინფორმაციის წარმოჩენის ბრწყინვალე გზაა. კულტურა მთელი სიდიადითა და უნიკალურობით ფრაზეოლოგიზმებშია თავმოყრილი. სუბიექტის ან ობიექტის მიმართ გამოყენებული მყარი გამონათქვამები, კონკრეტული ეროვნული კულტურის იმპლიციტური აზრის მატარებელია. ისინი, ინდივიდის შინაგანი სამყაროდან გამომდინარე, რთული მენტალური პროცესის-აზროვნების შედეგია, რაც საბოლოოდ ენით ცხადდება, „ენა ადამიანს სპეციფიკურად „შეიცნობს“ (Боняф, 2002: 150). უნიკალურობაა სწორედ ის, რაც მას კულტურულ ელფერს სძენს. ორი განსხვავებული ენის ფიტონიმური იდიომების კვლევა, ძალიან საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მათი შედარება-შეპირისპირებისას ყველაზე ნათლად წარმოჩნდება მათ შორის არსებული კულტურული, ეთნიკური და მენტალური განსხვავებანი.

ინტერნეტ წყაროებსა და სხვადასხვა ლექსიკონებში მოძიებული მრავალფეროვანი ემპირიული მასალა დავალაგეთ *სემანტიკურად ანუ შინაარსობრივად მსგავსი* ფიტონიმების შემცველ ფრანგულ და ქართულ იდიომებად და მოვახდინეთ მათი

კონცეპტუალური კლასიფიკაცია. ძირითადად, მ.ვ. პიმენოვასა და ო.ნ.კონდრატევის მიერ შემოთავაზებულ კონცეპტთა (ცნებათა) კლასიფიკაციის მოდელს ვეყრდნობით (Пименова,...2011: 96-100), რომელშიც შედის: *შეფასებითი, სოციალური, ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველი, განზომილებითი კონცეპტების ჯგუფები*. თუმცა, ემპირიული მასალის სიუხვიდან გამომდინარე, დავამატეთ ახალი კონცეპტუალური ჯგუფებიც: *წყევლისა და დალოცვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფიზიკური მდგომარეობის, ფიზიოლოგიური საჭიროების, ტრადიციისა და კულტურის, გარდაცვალების, სიკვდილის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფები*. საჭიროდ მივიჩნიეთ, *პერცეპციულ (გრძნობათა ორგანოებით აღქმა) და საგნობრივ კონცეპტთა ჯგუფების* ცალკე გამოყოფაც (ზემოხსენებულ ავტორებთან ისინი კოსმოსურ კონცეპტთა ჯგუფის ნაწილია).

შეფასებითი კონცეპტების ჯგუფი:

*უფასური, არაფერი, ღირებულებას მოკლებული* ნივთი, საგანი თუ სხვა რამ, ფრანგულ ენაში გადმოცემულია ისეთი ფიტონიმებით, როგორებიცაა მიწის თხილი, ბანანი, კომბოსტო, მარცვალი, ბალი, ფინიკი, ცერცვი, ჩალის ღერო, კაკალი: *Ne pas valoir une cacahuète*<sup>2</sup>-(პრდ. მიწის თხილადაც არ ღირს) ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული, უმნიშვნელო რამ; *Ne pas peser un grain*-(პრდ. მარცვლის წონისაც არაა) საუბ. 1.მარდია, დაუზარელია, ცქვიტია; 2.უმნიშვნელო, არად მისაჩნევი, ბეწვისოდენა (ბიბილეიშვილი,... 2010 : 258); *Gagner des dattes*<sup>3</sup>-(პრდ. ფინიკების მოგება) ხალხ. არაფერი (არაფრის მიღება). ქართულ ენაში მწვანილებს-პრასასა და ნიახურს ხატოვანი თვალსაზრისით დიდი ღირებულება არ გააჩნიათ, შედეგად მსგავსი იდიომების მნიშვნელობაც ადვილად მისახვედრია: *პრასი-ნიახურია-არაფერია*, უმნიშვნელოა, სალაპარაკოდ არ ღირს (სახოკია, 1954: 100); *ბოლოკი და ხბოს თავი-არაფერი* (სახოკია, 1950: 35); *ტყემლის ჩირად მიჩნევა*-(პრდ. ტყემლის ჩირის ღირსებისა) უფასური, ძალზე მდარე, სულ უბრალო (სახოკია, 1954: 168); *დამპალი კიტრის ფასი-უღირალი*, სრულიად უვარგისი, სრულიად უფასური (სახოკია, 1950: 86).

<sup>2</sup><https://dictionnaire.reverso.net/francais-synonymes/ne+pas+valoir+une+cacahu%C3%A8te> (მოძიებულია 10.11.18)

(მოძიებულია

<sup>3</sup> [https://idioms\\_fr.ru.academic.ru/22537/gagner\\_des\\_dattes](https://idioms_fr.ru.academic.ru/22537/gagner_des_dattes) (მოძიებულია 16.01.19)

ფრანგულ ენობრივ სივრცეში წიწაკით შედგენილი იდიომით გადმოცემული კონცეპტები-ფასი, ღირებულება მიუთითებს სიძვირეზე. თანაც, ამ კონცეპტის გამომხატველი მხოლოდ ერთი ფიტონიმური იდიომი მოვიძიეთ. მაგალითად: *Cela est cher comme poivre*<sup>4</sup>-(პრდ. ეს წიწაკასავით ძვირია) ცეცხლის ფასი აქვს, ძალზე ძვირია. ქართულში კი პირიქით, ფიტონიმებით გადმოცემული ზემოხსენებული კონცეპტები ძალიან დაბალ ფასს, თითქმის მუქთად გაცემას გამოხატავს, რაც ვფიქრობთ, საქართველოში ამ ბოსტნეულის თუ მცენარის სიუხვემ განაპირობა: ნივრის ფასად-მეტად იაფად, თითქმის მუქთად (სახოკია, 1954: 72); ბზის ფასად<sup>5</sup>-ჩალის ფასად, ძალიან იაფად; კიტრის ფასი-მეტად მცირე ფასი, უფასურობის სადარი (სახოკია, 1950: 212); კიტრად ღირს (კიტრის ფასად იყიდება)<sup>6</sup>-ძალიან იაფია, არაფრად ღირს; ჩალის ფასად გაყიდვა-იაფად გაყიდვა (ცეცხლაძე, 2018: 80).

ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი კონცეპტების ჯგუფი:

ლოთი, ნასვამი, მთვრალი ფრანგულში გადმოიცემა ბოსტნეულთან, ხილთან და ხესთან ასოციაციებით: *Avoir sa prune*-(პრდ. საკუთარი ქლიავის ქონა) საუბ. გამოთრობა, გამობრუჟვა, გამოტყვრომა (ბიბილეიშვილი,... 2010: 442); *Avoir son bout de bois*-(პრდ. მისი ხის ნაჭრის ქონა) მოძვ. მთვრალი (Rey,... 2015: 110); *Avoir l'air poivre-* (პრდ. წიწაკის იერის ქონა) უგონოდ მთვრალი (ქადეიშვილი,... 2000: 128). ქართულ ენაში აღნიშნული კონცეპტის გამომხატველი ბოსტნეულის შემცველი მხოლოდ ერთი იდიომი მოვიძიეთ, რომელიც აშკარად წინაპართა საყოფაცხოვრებო სფეროდანაა დამკვიდრებული: ხაპია-(პრდ. ხაპით ღვინის ამომღები) ღვინის ძალიან მსმელი, ლოთი (სახოკია, 1955: 191).

პერცეპციულ (გრძნობათა ორგანოებით აღქმა) კონცეპტთა ჯგუფი:

სიფრთხილე, შორსმჭვრეტელობა, წინათგრძნობა ფრანგულ კულტურაში პირდაპირ კავშირშია ფიტონიმებთან ხე, სალათი, ბალახი, მარცვალი, მსხალი, ხის ქერქი და ხახვი: *Jouer la carotte*<sup>7</sup>-(პრდ. სტაფილოს თამაში) საუბ. ფრთხილად, რისკის

<sup>4</sup> <https://www.littre.org/definition/poivre> (მოძიებულია 22.12.18)

<sup>5</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

<sup>6</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 24.01.19)

<sup>7</sup> <http://www.cnrtl.fr/definition/carotte> (მოძიებულია 20.11.18)

გაუწევლად თამაში; *Avoir (an envoyer, mettre dessus) toutes les herbes de la Saint-Jean*-(პრდ. წმინდა ჟანის ყველა ბალახის ქონა (ან გაგზავნა, ზემოდან დადება) 1. ყველაფერი გააკეთა, *ყველა ღონე იხმარა, ყველა გზას მიმართა*; 2. გაითვალისწინა, შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა; ყველა წესი დაიცვა (ბიბლიეშივილი,...2010: 269); *Il a du foin aux cornes*<sup>8</sup>-(პრდ. რქებში თივა აქვს) შემაწუხებელი და ძლიერი ადამიანი, რომელთანაც სახიფათოა საქმის დაჭერა, მისგან თავის შორს დაჭერა უკეთესია, *სიფრთხილეს თავი არ სტკივაო*. ხოლო ქართულ ენაში ზემოხსენებული კონცეპტების გამომხატველი შემდეგი ფიტონიმიანი იდიომები მოვიძიეთ: *უყარე კაკალი*<sup>9</sup>-რამდენიც გინდა ეცადე, ვეღარას გააწყობ, გვიანდა იქნება; *მეყოლე ვარდივით*-ჟარგ. ეუბნებიან თანამოსაუბრეს, როდესაც მესამე პირს ავ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ან უქადიან (ზრეგამე, 2013: 91).

სოციალური კონცეპტების ჯგუფი:

*სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის გამომხატველი კონცეპტები:*

ფიტონიმები ხახვი, ბოლოკი, ჯოხი, ყვავილი, ხორბალი, სტაფილო, თივა ფრანგულ კულტურაში უკავშირდება კონცეპტებს-*ღარიბი, გაჭირვებული: Se nourrir d'un oignon*<sup>10</sup>-(პრდ. ხახვით კვება) გასაჭირში, სიღარიბეში ყოფნა, მწირად კვება; *Être fleur*-(პრდ. იყო ყვავილი) არგ. უფულოდ, უკაპიკოდ დარჩენილი (Caradec, 2005: 94); *Fauché comme les blés*-(პრდ. ხორბალივით მოცელილი) უფულო, ძალიან ღარიბი (Rey,... 2015: 83); *Manger son blé en vert*-(პრდ. სიმწვანეში შესული ხორბლის ჭამა) მოძვ. ფულის, ქონების წინასწარ შემოხარჯვა (ქადეიშვილი,... 1998: 289). ქართულ კულტურაში კი ამ კონცეპტების როლს ფიტონიმები ლობიო, პური, ღერი და ჩხირი ასრულებენ: *ცარიელ ლობიოზე გადაივლის*<sup>11</sup>-მხოლოდ ლობიო ექნება საჭმელად; *პურის კუტი ენატრება*-ძალზე გაჭირვებულია, ნახევრად მშიერია (სახოკია, 1954: 102); *ცარიელ პურზე ზის (ცარიელ პურზე იჯდა, გადადის)*<sup>12</sup>-სიღარიბის გამო ცარიელი პურით საზრდოობს.

<sup>8</sup> <https://www.littre.org/definition/foin> (მომიებულია 28.11.18)

<sup>9</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 23.01.19)

<sup>10</sup> <https://www.lingvolive.com/ru-ru/translate/fr-ru/se%20nourrir%20d'un%20oignon> (მომიებულია 25.12.18)

<sup>11</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 24.01.19)

<sup>12</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მომიებულია 25.01.19)

სიმდიდრე, ფული, უზრუნველი ცხოვრება: *Avoir de l'oseille*<sup>13</sup>-ფული აქვს, მდიდარია; *Avoir du blé en poche*<sup>14</sup>-(პრდ. ჯიბეში ხორბლის ქონა) არგ. ფულის ქონა. შეიძლება ვთქვათ *სქელი ჯიბე აქვს*; *En avoir noix*-(პრდ. კაკალივით ქონა) მდაბ. ბევრი სამკაულის, ძვირფასეულობის ქონა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 367). ქართულში კი - *ქვაცა აქვს და კაკალიც*<sup>15</sup>-ყველაფერი აქვს, არაფერი აკლია; *ბზესავით არის (ბზესავით აქვს)*<sup>16</sup>-თავზე საყრელად აქვს, ბევრი რამ აქვს; ქართულ კულტურაში ძველად ადამიანის შეძლებასა და სიმდიდრეს მის ეზოში დარჩენილი ნაფოტის სიჭარბე გამოხატავდა. შედეგად შემოგვრჩა იდიომი-*დიდი ნაფოტი მიცვივა სახლში*-შეძლებული, მდიდარი ვარ (სახოკია, 1950: 102); *ლიმონი-ჟარგ.* მილიონი. ერთი სიტყვის მეორე, მსგავსი ჟღერადობის სიტყვით ჩანაცვლება კონსპირაციის მიზნით (ბრეგაძე, 2013: 86).

ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი: ფიტონიმური იდიომების კვლევისას ორივე ენაში აღმოჩნდა ადამიანის ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეების, სულიერი და ემოციური მდგომარეობის, გუნება-განწყობილების გამომხატველი საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა.

*ემოციის გამომხატველი კონცეპტები:*

*განრისხება, გაბრაზება, მოთმინებიდან გამოყვანა* - ფრანგმა ხალხმა დაუკავშირა მდოგვს, ხეს, კომბოსტოს, ყვავილს, ქოქოსის ხეს, ხავსს, თივას, მჟაუნას, ბალახს. მდოგვი ერთადერთი მცენარეა, „[...] რომლის ზემოქმედებაც ადამიანში ერთდროულად რამდენიმე გრძნობას იწვევს-„გემოს შეგრძნებასთან ერთად მოქმედებს ტვინზე, გულზე და აძლიერებს მეხსიერებას“-ამბობდა ძველი ბერძენი მეცნიერი პითაგორა“ (იოსებძე, 2015: 114). აი შედეგიც, რაც მხატვრულად გადმოსცა ფრანგმა ხალხმა: *Faire monter la moutarde au nez à qn*-(პრდ. ვინმესთვის მდოგვის ცხვირში აყვანა) ყელში ამოუყვანა, მოთმინება დააკარგვინა, გააბრაზა (ბიბლიეიშვილი,...2010: 357); *Travailler du chou*-(პრდ. კომბოსტოს დამუშავება) საუბ.

<sup>13</sup> <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/2107-avoir-de-loseille.html?highlight=WyJvc2VpbGxIII0=> (მოდირებულია 29.12.18)

<sup>14</sup> <http://www.cnrtl.fr/definition/bl%C3%A9> (მოდირებულია 25.11.18)

<sup>15</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოდირებულია 23.01.19)

<sup>16</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოდირებულია 23.01.19)



ლამის გაგიჟდეს (ბიბლიეიშვილი,... 2010: 106); *Avoir mangé de l'oseille*-(პრდ. მჟაუნა ნაჭამი) მდაბ. გაღიზიანებულია, გაბოროტებულია (ბიბლიეიშვილი,... 2010: 385); *Piler des oignons*<sup>17</sup>-(პრდ. ხახვების დანაყვა) არგ. გამოლანძვით, გაჯავრებით ვინმეს ცრემლებამდე მიყვანა. ქართულ ენაში იმავე კონცეპტებს ძირითადად ბალახები და მწარე გემოს მქონე ბოსტნეულები გადმოსცემენ, რომელთა მიღებაც რეალურად ადამიანს არაადეკვატურ არსებად აქცევს. ამასთან ზემო აჭარელთა რწმენით, მიწასა და ბალახებში მოთამაშე ბავშვს შეიძლება „უჟმური“ აჰყვეს, რასაც შეგროვილი სხვადასხვა ფოთლებისა და ბალახების ორთქლის ხრჩოლვით ან ნახარშში დაბანით შველიან (ნოღაიდელი, 1935: 10). ვფიქრობთ, ბალახების უარყოფითი კონოტაციაც ლოგიკურია: *ლენცოფა* (ლათ. *Hyosciamus niger*) ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეა, რომელიც წამლად იხმარება. *გიჟანა*, იგივე ძალღყურძენა (ლათ. *Belladonna*) ასევე შხამიანი მცენარეა, რომლის ზომიერად მიღება წამალია, ხოლო ზედმეტი-საწამლავი. ისიც თითქოს ადამიანს აგიჟებს. უცნაური ქცევის ადამიანს ასე მიმართავენ ხოლმე *ლენცოფა ხომ არ გიჭამია?*-ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? (სახოკია, 1950: 226), იმავე მნიშვნელობისაა-*გიჟანა ხომ არ გიჭამია!?* (სახოკია, 1950: 64); *რა ეკალმა უჩხვლიტა!*-რამ გაამწარა, რამ ააღელვა, რამ შეაშფოთა, რამ გააწიწმატა?! (სახოკია, 1954:106); *გაწიწმატება*-(პრდ. წიწმატივით გახდომა) გაჯავრება, გაცხარება (სახოკია, 1950: 56).

მიუხედავად უარყოფითი კონოტაციისა, ფრანგულ საზოგადოებაში ბევრ ფიტონიმს დადებითი მნიშვნელობაც შეუძენია. შესაბამისად ლობიო, ზღმარტლი, ხე-ტყე, პრასი, ვაშლი, თაღვამი, მარცვალი, ქოქოსის პალმა, ჩალა, პალმის ფოთოლი, ცერცვი და ა.შ. *წარმატება-გამარჯვების მატარებელი კონცეპტებია: Des nèfles!*-(პრდ. ზღმარტლები) ვერ მოგართვი! (ქადეიშვილი,...1999 : 909); *Abattre bien du bois*<sup>18</sup>-(პრდ. ხე-ტყის კარგად ჩეხა) საუბ. დიდი შრომის გაწევა, მოკლე დროში საქმეზე თავის გართმევა; *C'est comme des pommes*-(პრდ. ვაშლებივითაა) ვერ მოგართვეს! (ბიბლიეიშვილი,... 2010: 430); *Emporter (lever, enlever) la paille*-(პრდ. ჩალის თან წაღება (მოხსნა, იერიშით აღება) მოძვ. მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა, წარმატებით სარგებლობა;

<sup>17</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/34937/piler\\_des\\_oignons](https://idioms_fr_ru.academic.ru/34937/piler_des_oignons) (მოძიებულია 17.01.19)

<sup>18</sup> <https://www.littre.org/definition/bois> (მოძიებულია 04.12.18)

განსაკუთრებული თვისებების მქონე, გამოჩენილი, ცნობილი ადამიანი (Rey,... 2015: 668); *Trouver la fève (au gâteau)*-(პრდ. ცერცვის პოვნა (ნამცხვარში) 1. მიაგნო (სასურველ რამეს); ბედმა გაუღიმა; 2. საქმის გახსნა (ბიბლიეშივილი,... 2010: 227); ქართულ ენაში კი, შემდეგი სახის იდიომები გვაქვს: *ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი*-ცარიელზე დაგსვი, ვერას გამომრჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი (სახოკია, 1950: 127), მიზანს არ მიაღწევინეს; *ბალბა არ მომიხარშო*-ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი მჭრელი იარაღით რომ ჩემთვის საჭირო იყოს ჭრილობაზე მოხარშული ბალბის დადება, ისიც შენის ხელით! (სახოკია, 1950: 26-27); *ყურებზე ხახვი არ დამაჭრა*-ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი, შენი მუქარა შენთვის შეინახე, ყმად ვერ გამიხდი (სახოკია, 1955: 43-44); *ყურებზე ხახვი არ დამათალო*<sup>19</sup>-იგივეა, რაც ყურებზე ხახვი არ დამაჭრა; *საპრასე არ მომიჯგენო!*-ვერას დამაკლებ, ბუხსაც ვერ ამიფრენ (სახოკია, 1954: 132).

*წარუმატებლობა, მარცხი* ფრანგულში გადმოცემულია სხვადასხვა ბოსტნეულითა და ხილით, რომელსაც ადამიანი იყენებს: *Fendre du bois avec un rasoir*<sup>20</sup>-(პრდ. სამართებლით შეშის პობა) უვარგისი, გამოუსადეგარი საშუალებების გამოყენება; *Fruit sec*<sup>21</sup>-(პრდ. გამხმარი ხილი) 1.გამოცდაზე ჩაჭრილი; 2.სკოლის უდიპლომო კურსდამთავრებული; 3.უნიჭო, უიღბლო, ბედუკუღმართი ადამიანი; *Tuer un âne à coups de figues (molles)*<sup>22</sup>-(პრდ. მოკლა ვირი (რბილი) ლელვების დარტყმით) შეეჭიდო რაიმე ძალიან ხანგრძლივს ან შეუძლებელს; *Glisser sur peau de banane*-(პრდ. ბანანის ქერქზე მოსრიალება) უმნიშვნელო დაბრკოლებით გამოწვეული მარცხი (ქადეიშვილი,... 1998: 246); *Une guigne noire*-(პრდ. შავი ბალი) საშინელი მარცხი, უბედობა (ქადეიშვილი,... 1999: 422). ქართულში კი - *ჩალას ეჭიდებოდა*-გაჭირვების ჟამს სუსტ იარაღს ეჭიდებოდა (ცეცხლაძე, 2018: 80); *ხავსის ჭიდილო*-უიმედო, სუსტი იარაღის დაჭერა გაჭირვებისათვის თავის დასაღწევად (სახოკია, 1955: 190); *ხავსს ეჭიდებ*<sup>23</sup>-ნაკლებად სანდო რამეზე იმედის დამყარება.

<sup>19</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 26.01.19)

<sup>20</sup> [https://idioms\\_fr.ru.academic.ru/21588/fendre-du-bois-avec-un-rasoir](https://idioms_fr.ru.academic.ru/21588/fendre-du-bois-avec-un-rasoir) (მოძიებულია 17.01.19)

<sup>21</sup> [https://idioms\\_fr.ru.academic.ru/22444/fruit-sec](https://idioms_fr.ru.academic.ru/22444/fruit-sec) (მოძიებულია 11.01.19)

<sup>22</sup> <http://www.expressio.fr/expressions/tuer-un-ane-a-coups-de-figues-molles.php> (მოძიებულია 13.11.18)

<sup>23</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 30.01.19)



### მენტალური კონცეპტები:

ფრანგულ ენობრივ სივრცეში ფიტონიმები საკმაოდ აქტუალურია კონცეპტების-  
უჭკუო, სულელი, ბრიყვი, უცნაურის გამოსახატად: *Avoir l'air tomate*<sup>24</sup>-(პრდ.  
პომიდვრის იერის ქონა) სულელი, ყეყეჩი; (*Être*) *creux comme un radis*-(პრდ. (იყო)  
ბოლოკივით ფუყე) უმეცარი, გაუნათლებელი, უბირი (Rey,... 2015: 788); *Quelle  
banane!*<sup>25</sup>-(პრდ. რა ბანანია!) როგორი ბრიყვია; *Pomme à eau*-(პრდ. წვნიანი ვაშლი) საუბ.  
ბრიყვი (ბიბილეიშვილი,... 2010: 429); *La reine des pommes*<sup>26</sup>-(პრდ. ვაშლების  
დედოფალი) სულელი, რეგენი, შტერი, გამოთაყვანებული; *Bonne poire*-(პრდ. კარგი  
მსხალი) დოყლაპია (ბიბილეიშვილი,... 2010: 428); *Ne rien avoir dans le chou*<sup>27</sup>-(პრდ.  
კომბოსტოში არაფრის ქონა) ძალიან სულელი, ბრიყვი. ქართულ ენაში შემდეგი ტიპის  
მაგალითები მოგვეპოვება: *აი, ინა დავადე იმათ ჭკუას!*-მათთვის ჭკუისა და  
მიხვედრილობის უნარი წამირთმევია, უჭკუოდ დამიტოვებია (სახოკია, 1950: 8);  
*ბალზე ზის და ტყემალს ჭამს*-ვერაფერს ხვდება, საქმეში ვერ ერკვევა, ჰგონია  
ყველაფერი კარგადაა (ცეცხლაძე, 2018: 73); *ტყემალზე ზის*-უვიცია, ქვეყნიერებისა არა  
გაეგება რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია (სახოკია, 1954: 167);  
*თავში ბზე უყრია*-(პრდ. თავში ბზე აქვს ჩაყრილი (ტვინის მაგივრად) ტვინი არა აქვს,  
უჭკუოა, სულელია, ბრიყვია, მიუხვედრელია (სახოკია, 1950: 156); *ქლიავი (შე,  
ქლიავო)*-ჟარგ. შტერი (შდრ. გამოქლიავდა და დაქლიავდა), დამამცირებელი  
შინაარსისაა (ბრეგაძე, 2013: 138).

### 3.2. არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები ორივე ენაში.

„ფიტონიმია, როგორც ერთ-ერთი ფრაგმენტი სამყაროს ენობრივი სურათისა მოიცავს  
ეთნოკულტურულ ინფორმაციას მცენარეულ რეალიათა ხალხური გაგების შესახებ,  
მათ აქსიოლოგიურ და სტერეოტიპულ გააზრებასაც. რადგან სახელდება-არა  
მხოლოდ აღნიშვნის, ამასთანავე შემეცნების პროცესიცაა, ამიტომაც ამა თუ იმ საგნის  
ათვისების პროცესში ადამიანი ჯერ მას შეიმეცნებს და შემდეგ ასახელებს

<sup>24</sup> <http://www.cnrtl.fr/definition/tomate> (მოძიებულია 29.11.18)

<sup>25</sup> <https://www.icem-pedagogie-freinet.org/book/export/html/3209> (მოძიებულია 27.11.18)

<sup>26</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/26789/la\\_reine\\_des\\_pommes](https://idioms_fr_ru.academic.ru/26789/la_reine_des_pommes) (მოძიებულია 07.01.19)

<sup>27</sup> <http://www.expressions-francaises.fr/expressions-n/2685-ne-rien-avoir-dans-le-chou.html> (მოძიებულია 08.01.19)

(Гарифуллина,... 2004). საგნის სახელდებას განაპირობებს არა მხოლოდ მისდამი ადამიანის დამოკიდებულება, არამედ ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სხვა ფაქტორებიც (Фаткулина, 2002). მცენარეთა ლექსიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ ხდება ჩვენს გარშემო არსებული რეალობის, ადამიანის ცნობიერებაში სხვადასხვა თვისებების მატარებელ ხატებად გარდაქმნა, ამ ხატებისა კი-ენობრივ ფორმებში გადატანა. ნებისმიერი ენობრივი საზოგადოება არსებობს და ვითარდება მოცემულ ობიექტურ პირობებში, რაც სიტყვათა წარმოქმნისა და სახელდებას განსხვავებულ მახასიათებელთა არჩევაში გამოიხატება“ (Фаткулина,... 2016: 93).

ფიტონიმური იდიომების კვლევისას, ორივე ენაში გამოიკვეთა არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები. აქაც მოვახდინეთ არსებული მასალის კონცეპტუალური კლასიფიკაცია. დავიწყეთ *მხოლოდ ქართული ენისთვის დამახასიათებელი ფიტონიმური გამოთქმებით*. მათგან ყველაზე თვალშისაცემი და ხაზგასასმელია ფიტონიმების შემცველი ქართული *წყევლისა და დალოცვის ფორმულები*, რაც ფრანგულში არ შეინიშნება.

*წყევლისა და დალოცვის კონცეპტთა ჯგუფი:*

„წყევლა, ანუ დარისხვა, დაკრულვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია. იგი სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე აგებული ფორმულაა და ანიმისტური მსოფლმხედველობიდან მოყოლებული დღემდე მავნე ქმედების აღსაკვეთად, მტრისა და მოშურნის შესაჩვენებლად, ბოროტების დასათრგუნავად ან ჯადოქრობის გასაუვნებლად გამოიყენება“ (შიოშვილი, 2016: 162). უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანებს სწამდათ სიტყვის მაგიური ძალისა და სჯეროდათ, რომ მათ მიერ წარმოთქმულ წყევლას, შესაბამისი შედეგიც ექნებოდა. მცენარეთა სახელებით მოტივირებული წყევლის ფორმულები ძირითადად საყოფაცხოვრებო ხასიათისაა და გაჯერებულია სულიერი და მატერიალური ცხოვრების ელემენტებით.

*წყევლა - ამოწყვეტა, მოუსვლელში გაგ ზავნა: შენს ერდოზე ბალახიმც ამოსულაო!- შენი ოჯახი დაქცეულიყოს, ამოწყვეტილიყოს, ცოცხალი არავინ დაგრჩენოდეს, ყველანი დახოცილიყვეთ (სახოკია, 1955: 67). ეს გამონათქვამი დიდი წყევლის*

ფორმულაა. ძველად აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში, გლეხები ერდოიან (დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი) მიწურებში ცხოვრობდნენ. მიწაზე ამოსულ ბალახს, მაშინვე წყვეტდნენ, თორემ ფესვი რომ გაედგა, წვიმა ადვილად შეაღწევდა სახლებში. ასეთი რამ მხოლოდ მიტოვებულ ან უყურადღებოდ დარჩენილ ერდოს შეიძლებოდა დამართნოდა, როცა ოჯახი ამოწყვეტილი იყო, არც კერაზე ცეცხლი არ ენთო; *ბზედ და ბრედ წაუვა*<sup>28</sup>-საქმე უკუღმა დაუტრიალდება; *შენს თონეში ჭინჭარიმც ამოსულაო!*-შენი ოჯახი ამოწყვეტილიყოს, შიგ ცოცხალი არავინ დარჩენილიყოს (სახოკია, 1955: 67). წყევლის ეს ფორმულა ქართლშია გავრცელებული. ჭინჭარი სწორედ უპატრონოდ დარჩენილ, გადაშენებულ და დედაბუდიანად ამომირკვეულ ოჯახში დარჩენილ თონეში თუ გაიზრდება; ამრიგად აბსოლუტურად ლოგიკურია გამონათქვამის შინაარსი;

„დალოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია და, შელოცვისა და წყევლის მსგავსად, სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზეა დაფუძნებული“ (შიომვილი, 2016: 171). ზოგადად ქართულ კულტურაში უხვადაა *დალოცვის ფორმულები*, რომლებიც ენაში საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ხალხური მეტყველებიდან მკვიდრდება.

*დალოცვა: ია-ვარდი გიფენია*-(პრდ. ია და ვარდი დაგეფინოს წინ) ხელი მოგემართოს, როგორც შენი ნება იყოს, ისე წავიდეს შენი საქმე, ლამაზად განვლე დღენი შენნი, უსიამოვნება არაფერი შეგხვდეს, სიამ-ტკბილობით იყავ; მიბრძანდით, არავინ გაკავებთ! ძველად სადმე წამსვლელს გზის დასალოცად ეტყოდნენ: *ია-ვარდი გიფენიაო!* ე.ი. იისა და ვარდის, ამ საუკეთესო ყვავილების, მეტი არაფერი ეყაროს შენს გასასვლელ გზაზე, არაფერი გაბრკოლებდეს, მშვიდობით გაგევლოს გზაო! მოგვიანებით ამ თქმამ დაცინვითი ხასიათიც მიიღო. როცა ვინმე განაწყენებული მუქარით იტყვის-თქვენთან არ დავრჩებიო, ეტყვიან: წაბრძანდი, შენი ჭირიმე, ია-ვარდი გიფენიაო! ამით აგრძნობინებენ: თუ წახვედი, შავებს არ ჩავიცვამთ, ხვეწნით კალთებს არ დაგაგლეჯთო (სახოკია, 1950: 183).

*სოციალური კონცეპტების ჯგუფი:*

<sup>28</sup> <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka> (მოძიებულია 23.01.19)

*მორალურ-ეთიკური კონცეპტები:*

*დამადლეობა:* პილპილმოყრილი მადლი - დაყვედრებული, ლანძვადატანებული სიკეთე (სახოკია, 1954: 86); *პილპილს მოაყრის*<sup>29</sup>-მწარე-მწარე, საწყენ სიტყვებს ეტყვის.

*მოზოდიშება:* პირი ხისკენ მიქნია<sup>30</sup>-მოსაზოდიშებელი თქმაა, მსმენელმა რომ თავის თავზე არ მიიღოს ნათქვამი. იგულისხმება ცუდი ამბავი ან ვინმეს აუგად მოხსენიება. აჭარაში ამ თქმას მსმენელისთვის ცუდის არიდების კონოტაცია აქვს.

*ადამიანის ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი:*

*ემოციის გამომხატველი კონცეპტები:*

*შეშინება:* ტანზე ეკლის ასხმა-შეშინება, საზარელობა, გულის გახეთქვა (სახოკია, 1954: 162); *ეკლად დაესვა*-შეშინდა, შერცხვა (ცეცხლაძე, 2018: 80); *აჭინჭვრა ტანისა*-გამწარება, შეშინება, შეკრთომა (სახოკია, 1979: 37).

ნათლად გამოიკვეთა მცენარეთა სახელების შემცველი ისეთი ფიტონიმური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც *მხოლოდ ფრანგული ენისთვისაა დამახასიათებელი:*

*ფიზიოლოგიური საჭიროების გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი:*

*ძილი:* *Coucher dans le lit aux pois verts*-(პრდ. მწვანე ბარდების საწოლში წოლა) არგ. ძილი ღია ცის ქვეშ (ქადეიშვილი,... 2000: 127); *Manger une (ან la) soupe aux herbes (ან à l'herbe)*<sup>31</sup>-(პრდ. ბალახების (ბალახის) წვნანის ჭამა) საუბ. 1.ღია ცის ქვეშ ძილი; 2. სიყვარულით ტკბობა ჰაერზე; *Dormir comme une bûche*-(პრდ. ნაპობივით ძილი) ბანგიანივით ძილი (ქადეიშვილი,... 1998: 336).

*ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი კონცეპტების ჯგუფი განსხვავებული კონცეპტებით:* *გარეგნობა, შესახედაობა:* *N'avoir plus de mousse sur le caillou*<sup>32</sup>-(პრდ. კენჭზე ხავსის არ ქონა) ხალხ. მელოტი, უთმო ადამიანი; *N'avoir plus de mouron sur la cage*-(პრდ. გალიაზე ნამისჭია, ჟუნჟრუკიც აღარაა) მდაბ. მელოტია (ბიბლიეიშვილი,...

<sup>29</sup> <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 29.01.19)

<sup>30</sup> <http://ena.ge/explanatory-online> (მოძიებულია 09.02.19)

<sup>31</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/29078/manger\\_une\\_soupe\\_aux\\_herbes](https://idioms_fr_ru.academic.ru/29078/manger_une_soupe_aux_herbes) (მოძიებულია 10.01.19)

<sup>32</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/4240/avoir\\_le\\_caillou\\_d%C3%A9plum%C3%A9](https://idioms_fr_ru.academic.ru/4240/avoir_le_caillou_d%C3%A9plum%C3%A9) (მოძიებულია 17.01.19)

2010: 356); *Avoir le melon déplumé*<sup>33</sup>-(პრდ. ბუმბულგაცლილი ნესვის ქონა) ხალხ. მელოტი; *Jambes en forme des haricots vêts*-(პრდ. მწვანე ლობიოს ფორმის ფეხები) გაღუნული ფეხები (ქადეიშვილი,... 1999: 440).

გარდაცვალების, სიკვდილის გამომხატველ კონცეპტთა ჯგუფი: *Manger les pissenlits par la racine*<sup>34</sup>-გარდაცვლილი და დაკრძალული; *Mourir sur la paille*-(პრდ. ჩალაზე სიკვდილი) საუბ. სული სილატაკეში ამოსძვრა (ბიბილეიშვილი,... 2010: 388); *Mourir au coin d'un bois (ან d'une haie)*-(პრდ. ტყის (ან ღობის) კუთხეში სიკვდილი) უპატრონოდ მოკვდა, ღობის ძირას მოკვდა (ბიბილეიშვილი,... 2010: 116); *Sentir (ან sonner) le sapin*-(პრდ. ნაძვის გრძნობა (ან რეკვა) საუბ. სიკვდილის პირასაა, ცალი ფეხი სამარეში უდგას, ორი პარასკევი დარჩენია (ბიბილეიშვილი,... 2010: 471) და ა.შ.

**3.3. ერთნაირი შინაარსის მქონე ფიტონიმური იდიომების ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი და განსხვავებული ფორმები ორივე ენაში.** ფრანგული და ქართული ენების ფიტონიმური ფრაზეოლოგიური ფონდის კვლევისას ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებული ფრაზეოლოგიური ერთეული უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მსგავსი. თუმცა არცაა გასაკვირი, რადგან ორი სხვადასხვა ჯგუფისა და ტიპის ენების შედარება-შეპირისპირებისას, ეს ლოგიკურიცაა. გამოვეყოფთ განსაკუთრებით საინტერესო ორ დიდ ჯგუფს:

1) ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებული ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში. ისინი თავის მხრივ იყოფიან ორ ქვეჯგუფად:

*ქვეჯგუფი ა: იდიომები, რომლებიც ორივე ენაში შეიცავენ განსხვავებულ ფიტონიმებს.* ესენია: *Gagner des dattes*<sup>35</sup>-(პრდ. ფინიკების მოგება) ხალხ. *ბოლოკი და ხბოს თავი*; *Casser la graine*-(პრდ. თესლის გატეხვა) წახემსება, *პურის გატეხა* (ქადეიშვილი,... 1999: 392); *Se taper la cerise*<sup>36</sup>-(პრდ. ალუბლის ჭამა) ხალხ. დანაყრება, მსუყედ ჭამა; *პურის ჭამა*; *Se faire la cerise*-(პრდ. გაიკეთო ალუბალი) საუბ. წასვლა, გაპარვა, *ნიორივით გაპარვა* (Rey,... 2015: 153); *Oh, des dattes*-(პრდ. ო, ფინიკები!) მდაბ.

<sup>33</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/4376/avoir\\_le\\_melon\\_d%C3%A9plum%C3%A9](https://idioms_fr_ru.academic.ru/4376/avoir_le_melon_d%C3%A9plum%C3%A9) (მოძიებულია 12.01.19)

<sup>34</sup> <http://www.expressio.fr/expressions/manger-les-pissenlits-par-la-racine.php> (მოძიებულია 11.05.18)

<sup>35</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/22537/gagner\\_des\\_dattes](https://idioms_fr_ru.academic.ru/22537/gagner_des_dattes) (მოძიებულია 16.01.19)

<sup>36</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/41271/se\\_taper\\_la\\_cerise](https://idioms_fr_ru.academic.ru/41271/se_taper_la_cerise) (მოძიებულია 12.01.19)

კი, როგორ არა! აბა კი! მაშ! რა სისულელეა! ვერ მოგართვეს! ეგლა მაკლია! *მოხარშული წაბლი ხომ არ გინდა!* აპრუწუწუნ! (ბიბლიეიშვილი,... 2010: 154); *Causerie (ან conversation) à batôns rompus*-(პრდ. გაწყვეტილი ჯოხებით ბაასი (ან საუბარი) *აქეთურ-იქეთურზე* ლაპარაკი, *ამ მთისა და იმ ბარის* თქვეს (ბიბლიეიშვილი,... 2010: 48); *Être rouge comme une tomate*<sup>37</sup>-(პრდ. პომიდორივით წითელი) *ჭარხალივით წითელი*; *La paille et la poutre*-(პრდ. ჩალა და ძელი) (მრავალნაკლიანი ადამიანის მიერ სხვისი ნაკლის გაკრიტიკება) თავის თვალში ძელს (ან დირეს) ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვსა ხედავსო (Rey,... 2015: 668) და ა.შ.

*ქვეჯგუფი ბ: იდიომები, რომელთა ქართული ეკვივალენტები არ შეიცავენ ფიტონიმებს: En avoir plein le coco*-(პრდ. ამით სავსე ქოქოსი) არგ. *მუცლის ამოვსება* (ქადეიშვილი,... 1998: 457); *Mordre à la grappe*-(პრდ. მტევნის კბენა) 1. პირდაპირ მტევნიდან ჭამა (ყურძნისა); 2. რაღაცას მიეჩვია, მიეძალა; 3. *ანკესზე წამოეგო, ხაფანგში გაება* (ბიბლიეიშვილი,... 2010: 259); *Envoyer dans les roses*-(პრდ. ვარდებში გაგზავნა) საუბ. წაქცევა ვისიმე (ქადეიშვილი,... 2000: 365), *ზღართანი გაადენინა*; *Compter les fèves*<sup>38</sup>-(პრდ. ცერცვის მარცვლების თვლა) უსაქმურობა, ბუზების თვლა ჭერში; *C'est comme des dattes*-(პრდ. ეს ფინიკებივითაა) ეს შეუძლებელია, არასოდეს მოხდება, *მეტი არ აგიდგა გვერდები!* (Caradec, 2005: 70); *Faire chou blanc*-(პრდ. თეთრი კომბოსტოს გაკეთება) სრული წარუმატებლობის განცდა (ქადეიშვილი,... 1998: 430), *მარცხის განცდა, ხელის მოცარვა*; *Mi-figue, mi-raisin (ან moitié figue, moitié raisin; ni figue, ni raisin)*-(პრდ. ნახევრად ლეღვი, ნახევრად ყურძენი) *არც წყალია, არც ღვინო; არც ძმარია, არც წყალი* (ბიბლიეიშვილი,... 2010: 228); *Marcher sur une mauvaise herbe*-(პრდ. სარეველა ბალახზე გავლა) *მარცხენა ფეხზე ადგა*, ცუდი სიზმარი ნახა (ბიბლიეიშვილი,... 2010: 269); *Garder une poire pour la soif*<sup>39</sup>-(პრდ. მსხლის გადანახვა წყურვილისთვის) საუბ. მომჭირნეობა, *შავი დღისთვის* შენახვა, გადადება და ა.შ.

<sup>37</sup> <http://www.linternaute.fr/expression/langue-francaise/330/etre-rouge-comme-une-tomate/> (მოძიებულია 29.12.18)

<sup>38</sup> <https://www.lingvolive.com/ru-ru/translate/fr-ru/compter%20les%20f%C3%A8ves> (მოძიებულია 25.12.18)

<sup>39</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/45249/une-poire-pour-la-soif](https://idioms_fr_ru.academic.ru/45249/une-poire-pour-la-soif) (მოძიებულია 08.01.19)



2) ლექსიკური შემადგენლობით მსგავსი ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში: *Avoir la tête comme une citrouille*<sup>40</sup>-(პრდ. გოგრასავით აქვს თავი) გოგრასავით გასივებული თავი, გონებრივი დაძაბულობის შედეგად დაღლილი; *Ridé comme une pomme cuite (ან une vieille pomme)*<sup>41</sup>-(პრდ. შემწვარი (ან ძველი) ვაშლივით დაჭმუჭნული) შემწვარი ვაშლივით შეჭმუხნული, დაჭმუჭნილი, დანაოჭებული; *Presser qn comme un citron*-(პრდ. ხტვ.) ლიმონით გამოწურვა, ვინმეს არ დაზოგვა (ქადეიშვილი,... 1998: 440); *Garder comme la prunelle de ses yeux*-(პრდ. კვრინჩხვით (გუგასავით) მოფრთხილება) თვალის ჩინივით გაფრთხილება (ქადეიშვილი,... 2000: 209); *Pomme de discorde*-(პრდ. ხტვ.) განხეთქილების ვაშლი (ქადეიშვილი,... 2000: 133); *Ça ne vaut pas un trognon de chou*-(პრდ. ხტვ.) კომბოსტოს მურკადაც არ ღირს (Surguladze, 2013: 255), კაპიკად არ ღირს (ქადეიშვილი,... 2000: 642), *კაპიკია იმის ფასი*; *C'est chercher une aiguille dans une botte de foin*<sup>42</sup>-(პრდ. ხტვ.) თივის ზვინში ნემსის ძებნა, დიოგენეს ფანრით ძებნა;

## დასკვნა

ჩატარებული შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- ფრანგული და ქართული იდიომები ენის განუყოფელი ნაწილია. თავიანთი სათქმელის ლაკონურად და ხატოვნად გადმოცემისას, ისინი კონკრეტული ერის, ეთნოსის ღრმა ნააზრევსა და ხანგრძლივი გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენენ, ამიტომაც, სხვადასხვა კულტურებში ისინი შესაძლებელია ემთხვეოდნენ ერთმანეთს ან სრულიად განსხვავდებოდნენ. შედარებისას წარმოჩენილი მსგავსებანი თუ განსხვავებანი, უდაოდ მოცემული კულტურების მახასიათებელი ნიშნებია.

<sup>40</sup> <http://www.expressions-francaises.fr/expressions-a/1426-avoir-la-tete-comme-une-citrouille.html> (მოძიებულია 12.01.19)

<sup>41</sup> [https://idioms\\_fr\\_ru.academic.ru/38788/rid%C3%A9\\_comme\\_une\\_pomme\\_cuite](https://idioms_fr_ru.academic.ru/38788/rid%C3%A9_comme_une_pomme_cuite) (მოძიებულია 07.01.19)

<sup>42</sup> <https://www.littre.org/definition/foin> (მოძიებულია 28.11.18)

- ნაშრომში დასტურდება, რომ ენა ცოდნის გადმოცემის ერთგვარი გზაა, იმ ცოდნისა, რასაც თანამედროვე ერის მენტალობა და ძველი ხალხების სამყაროსეული ხედვა ჰქვია. იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად იდიომებში ჩაქსოვილი გარდასულ დროთა გამოძახილი, საუკუნეთა ქარცეცხლში გამოწრთობილი ისტორია და კულტურული სიმბოლოები, დღეს ჩვენამდე ენამ მოიტანა. სწორედ ენაში ინახება ერის კულტურის ყველაზე დიდი განძი და ფაქიზი წვრილმანები.

- მყარი გამონათქვამების გაგება უშუალო კავშირშია მკითხველისა თუ მსმენელის აღქმასთან, ამიტომაც შედარებისას ნათლად წარმოჩნდება ფუნქციური, სემანტიკური თუ ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებანი, რაც ორი ენის ლინგვოკულტურული სხვაობით აიხსნება.

- შედარებული ენების ფრაზეოლოგიზმების ფონდი უმდიდრესია, რომელშიც საკმაოდ ჭარბადაა მცენარეთა სამყაროს ელემენტების შემცველი იდიომები. წარმომავლობის განსხვავებული წყაროების მიუხედავად, მათ მჭიდრო კავშირი აქვთ როგორც ადამიანის გარემომცველ სივრცესა და იქ არსებულ ობიექტებთან, ასევე მის სულიერ და კულტურულ სამყაროსთან და ჰარმონიულად თანაარსებობენ კიდევაც.

- ფიტონიმები, ლექსიკის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სახეობაა. საგნისა თუ პიროვნებისადმი მიმართულ მცენარეთა კომპონენტის შემცველ გამოთქმებში, მკაფიოდ ჩანს შესასწავლი ენის მატარებლის ინდივიდუალური შინაგანი სამყარო. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი წყალობით შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ და გავცნოთ იმ ისტორიულ-კულტურულ მომენტებს, რომლებმაც დასაბამი მისცეს მათ წარმოშობას, დავინახოთ რაოდენ მრავალფეროვანია კონკრეტული ერის წარმომადგენლის შინაგანი სამყარო და მათი ენობრივი აღქმა, როგორია ამ სამყაროში მომხდარი ცვლილებები და მათი შედეგები. კვლევა ადასტურებს, რომ იდიომები მართლაც რთული სემანტიკური წარმონაქმნებია და ლინგვოკულტურული ნაწილის განუყოფელი მხარეა.

- ფრანგული და ქართული ფიტონიმური იდიომების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ისინი გამოხატავენ სხვადასხვა ნომინაციებს: წარმატება-წარუმატებლობას, გარეგნობას, იერს, მოჩვენებითობას, კამათს, მიაშიტობას,



უნებისყოფობას, სარგებლის პოვნას, გამორჩენას, მომჭირნეობას, მძიმე მდგომარეობას, გასაჭირს, სიმდიდრეს, საქმიანობას, დაცინვას, უგუნურ საქციელს, სოცოცხლით ტკობას, კეთილ თუ ბოროტ განზრახვას, თავის მობეზრებას და ა.შ. გარდა ამისა ახასიათებენ ადამიანს: სულელი, ბრიყვი, ყეყეჩი, ვითომ ჭკვიანი, შეშლილი, ამაყი, ტრაბახა, ცხვირაბზუებული, მომდიმარი, კმაყოფილი, ბედნიერი, ლამაზი, უშნო, გულახდილი, ერთგული, საიმედო და ა.შ. ორივე ენაში მოძიებული ემპირიული მასალა, ხაზს უსვამს ადამიანის ცნობიერებაში მცენარეთა სამყაროს დიდ ზეგავლენას.

- კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მოპოვებულ გამონათქვამთა დადებით, ნეიტრალურ და უარყოფითი კონოტაციის მატარებელ იდიომებად დაყოფის აუცილებლობა, რაც განვსაზღვრეთ პროცენტულ მაჩვენებლებში. კვლევაში ჩვენ მიერ მოპოვებული ფრანგული რვაას ოთხმოცდაცხრამეტი (899) ფიტონიმური თქმიდან 24,8% დადებითი, 5,3% ნეიტრალური და 69,8% უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, ხოლო სამას ორმოცდარვა (348) ქართული იდიომიდან 22,7% დადებითი, 3,7% ნეიტრალური და 73,6% უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. ამდენად, ნათლად გამოჩნდა, რომ ფიტონიმური იდიომები ძირითადად უარყოფითი კონოტაციისაა, თუმცა ფრანგულ ფიტონიმურ იდიომებს ზოგჯერ ახასიათებთ კონოტაციის ცვლაც უარყოფითიდან დადებითისკენ.

- ინტერნეტ წყაროებსა და სხვადასხვა ლექსიკონებში მოძიებული ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად იდიომები დავაჯგუფეთ *ლექსიკური და სემანტიკური თვალსაზრისით*. *სემანტიკური* თვალსაზრისით გამოიკვეთა ორი დიდი ჯგუფი: 1.სემანტიკურად ანუ შინაარსობრივად მსგავსი ფიტონიმების შემცველი ფრანგული და ქართული იდიომები; 2. არაერთგვაროვანი ანუ შინაარსობრივად განსხვავებული იდიომები ორივე ენაში; *ლექსიკური თვალსაზრისით*, გამოვყავით ასევე ორი ჯგუფი: 1. ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებული ფიტონიმური იდიომები ორივე ენაში, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ორ ქვეჯგუფად: ა) განსხვავებული ფიტონიმების შემცველი იდიომები ფრანგულსა და ქართულ ენებში; ბ) ფრანგული იდიომები, რომელთა ქართული ეკვივალენტები არ შეიცავენ ფიტონიმებს; 2. მსგავსი

ლექსიკური შემადგენლობის მქონე ფიტონიმური იდიომები ფრანგულსა და ქართულში.

- კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ იდიომებში ძირითადად ბალახები, სამკურნალო მცენარეები, სამეურნეო დარგში და ქართულ ყოველდღიურობაში გამოყენებული ფიტონიმები გვხვდება, ხოლო ფრანგულში-უფრო ბოსტნეული და ხილის ის სახეობა ჭარბობს, რომელსაც ხშირად იყენებენ ყოველდღიურობაში და რომელიც მათ გეოგრაფიულ არეალში არსებობს. ესენია: ბოსტნეული: სტაფილო, პომიდორი, კომბოსტო, ხახვი და მისი სახეობები, ისპანახი, წიწაკა, ბარდა, ლობიო, სოკო, მდოგვი, სატაცური, სალათის ფოთლები, ბოსტნეულის გული, კანი, ყაბაყი, კიტრი, კარტოფილი, ცერცვი, ნიორი, პრასი; ხილი: მსხალი, მარწყვი, ბანანი, ვაშლი, ლეღვი, ყურძენი, ატამი, ლიმონი, ქლიავი, ზღმარტლი, ალუბლის სახეობები, ნესვი, ზეთისხილი, კაკალი, წაბლი, გოგრა, კომში, ქოქოსი, ფინიკი, კენკრა, ნუში, საზამთრო; ხეები და მისი ნაწილები: ტყე, ფიჩხის კონა, ხავსი, ქერქი, პალმა, ფესვი, ვაზი, საკმეველი, კუნძი, ფსტა, ეკალი; მწვანელი: ოხრახუმი, მჟაუნა; ყვავილები: ია, იორდასალამი, ბაბუაწვერა, ლევკოიონი, ჟუნჟრუკი; მარცვლეული და მისი ნაწილები: ჩალა, თივა, შვრია და ა.შ.

ქართველების მიერ ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი მცენარეები, როგორებიცაა: ბალახები: გიჟანა, ბალბა, ჭინჭარი, ნარი; ხე და მისი ნაწილები: ჩხირი, ხავსი, ნაჭუჭი, ფესვი, ვაზი, ფიჩხი, წნელი, ხე, ნაფოტი, ეკალი, დაფნა, ინა, ასკილი; ბოსტნეული: კიტრი, ნიორი, ჭარხალი, ბადრიჯანი, ბოლოკი, ცერცვი, პრასი, ლობიო, წიწმატი, ხვიტი, წიწაკა, ხახვი; ხილი: ვაშლი, კომში, გოგრა, ნესვი, კაკალი, მსხალი, ტყემალი, ლეღვი, ხაპი, ჩირი; მწვანელი: ქინძი, ნიახური; ყვავილები: ია, ვარდი, ენძელა, კვირტი; მარცვლეული და მისი ნაწილები: ბზე, ქერი, ქატო, პური, ჩალა და ა.შ.

- ცალკე გამოვყავით ფიტონიმებით გადმოცემული მხოლოდ კონკრეტული ერისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული და სპეციფიკური მომენტები, შვეისწავლეთ მათი ეტიმოლოგია, რითაც ხაზგასმულია ფიტონიმური იდიომების შესწავლის აუცილებლობა.

- ფიტონიმები გვხვდება ქართული წყევლისა და დალოცვის ფორმულებში, რაც ფრანგულში საერთოდ არ არსებობს, ხოლო ფრანგულში, ქართულისგან განსხვავებით, მცენარეთა სახელებით სიკვდილის კონცეპტია გადმოცემული, რაც ქართულში არ გვაქვს.

- ფრანგულში, ქართულისაგან განსხვავებით, ხე და მისი ნაწილები დალატის, ცრურწმენის გამომხატველი ფიტონიმია. თუმცა ამავედროულად მოიძებნა ორივე ენაში მსგავსი ცნებებიც. მაგრამ თუ ქართულში საყრდენის ფუნქციას *ჯობი* ასრულებს, ფრანგულში ეს ფუნქცია *ლერწამმა* იტვირთა.

- მხოლოდ ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი მუქარის, დამადლების, დავიწყების, სიმუნწის, მობოდიშების, შეშინების გამომხატველი ფიტონიმური იდიომების არსებობა.

- ფრანგულში კი განსაკუთრებით საყურადღებოა ძილის, სიყვარულის, პატივისცემის დამსახურების, მოფერებითი სახელების, უყაირათობის, გარეგნობის, შესახედაობის, დაღლილობის, დაჭერის, შემართების, სტილისა და ჩაცმულობის, საქმიანობის, რელიგიური რეალიების, მიმართვის, დახმარების, მოხერხებულობის, ქების, საფრთხის, ძალაუფლების სიმბოლოების, პიროვნების იდენტიფიკაციის, ერთგულების, საძაგელი ხასიათის, ღირსების, თავმდაბლობის, ქარაფშუტობის, სიბინძურე/სისუფთავის, გუნება-განწყობილების, ცდუნების, კენჭისყრის, პირის გატეხისა და დარტყმის კონცეპტების გამომხატველი ფიტონიმური თქმები.

- ფრანგულში, ქართულისგან განსხვავებით, ადამიანის გარეგნობის დამახასიათებელი საკმაოდ ბევრი ფიტონიმური იდიომია, რაც ქართულში არ გვხვდება.

- ამრიგად, ფიტონიმები-ლექსიკის ერთ-ერთი უძველესი პლასტი, აქტიურად გამოიყენება ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის ენობრივ კონცეპტუალიზაციაში. ენით გადმოცემული ფიტონიმური იდიომები, ადამიანის შინაგანი სამყაროთი გაჟღენთილი, ინდივიდუალური აზროვნების რთული პროცესის საბოლოო შედეგია. ამიტომაც მათ უნიკალურ კულტურულ მონაპოვრად მიიჩნევენ.

- მამასადამე, კულტურა ამა თუ იმ ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, სიბრძნის, ცოდნის, ქცევის, ცხოვრებისეული მაგალითების, ყოველდღიურობის, კულტურული და სულიერი ცხოვრების, ისტორიის, გარემო პირობების ერთობლიობაა, რომლის აკუმულაციაც ხდება ენაში. ის საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემა და ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას. ამ დროს ენა ასრულებს ერთგვარი ამოუწურავი მეხსიერების მქონე „კაფსულის“ როლს, რომელიც ადამიანებს სწორედ ამგვარი ფასდაუდებელი ცოდნით ასაზრდოებს.

## სადისერაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა შემდეგ

### პუბლიკაციებში:

1. „ციფრული სწავლების მეთოდები და შედეგები ფრანგულ ფილოლოგიაში“, CODFREURCOR-ის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია - 21-ე საუკუნის 21 გამოწვევა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. ჟურნალი EISH N5, გვ. 84 ISSN: 1987-8753, 2018  
<http://ojs.iliauni.edu.ge/index.php/eish/issue/view/29> ;
2. „ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტურული ანალიზი ფრანგულ და ქართულ ენებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტა და ახალგაზრდა მეცნიერთა III სამეცნიერო კონფერენციის მასალები 2017, გვ. 97-100 ISBN 978-9941-462-79-5, 2018;
3. „ფიტონიმებით შედგენილი იდიომების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“-საერთაშორისო კონფერენციის მასალები („Humanities in the Information Society-III“, International Conference proceedings), ბათუმი-2018-Batumi. ISSN 1987-7625, ISBN 978-9941-462-86-3 (საერთო), ISBN 978-9941-462-84-9 (I ნაწილი), ISBN 978-9941-462-85-6 (II ნაწილი). 2018. (იბეჭდება) ;
4. „L'étude étymologique des idiomes phytonymiques“, co-author Professor Natalia Surguladze. *Le linguiste*, Revue internationale en science du langage, N 24/hiver 2018, Iran: Qom, pp. 33-40; ISSN 2251-970X ;
5. „Phytonymic idioms with similar and different connotations (Based on French and Georgian Phraseophytonyms)“, co-author Professor Natalia Surguladze. NALANS, Journal of Narrative and Language Studies, An international Biannual Journal-ISSN: 2148-4066. Vol 7, No 13: December 2019. pp. 140-151. <http://www.nalans.com/index.php/nalans/article/view/177/113>;